საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 სექტემბერი ოთხშაბათი 2012 №216 (13 822) ფასი 80 თეთრი

საქართველო
0:1
ესპანეთი

საქართველო
97:89
პოლანდია







# იმედი გაალღვივეს გაამართლეს



12

8-9



## გიორგი ლორიამ გუშინ ზღაპრული მატჩი ჩაატარა

ფეხბურთელებსაც კალათბურთელების წყალი გადასხმოდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ. ფრანც ბეკენბაუერი



ფრანც ბეკენბაუერი

# კაიზერ-ფრანცი 67 წლისაა!

## კაიზერის მოსაზრებები ბაიერნზე, გერმანიის ნაკრებსა და ზოგადად ფეხბურთზე

**ფრანც ბეკენბაუერი გუშინ 67 წლის გახდა. გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა თავს მხნედ გრძნობს და დიდი გეგმები აქვს. ამბობენ, შეიძლება კაიზერ-ფრანცმა ფიფას არჩევნებში იყაროს კენჭიო, მაგრამ თვითონ ამ თემაზე არაფერს ამბობს. იოზეფ ბლატერის პოსტის გადაბარების სურვილი ბეკენბაუერმა არც „ბილდისთვის" მიცემულ საიუბილეო ინტერვიუში დაადასტურა - ჟურნალისტს თავიდანვე სთხოვა, ამ თემას ნუ შევეხებითო და მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნზე", გერმანიის ნაკრებსა და ზოგადად ფეხბურთზე ისაუბრა.**

**- ჰერ ბეკენბაუერ, როგორ აღნიშნავთ 67-ე იუბილეს?**

- მთელ დღეს მეუღლე ჰაიდისთან და ბავშვებთან ერთად გავატარებ, საღამოს კი ერთად ვუყურებთ ავსტრია-გერმანიას. წვეულების მოწყობას არ ვაპირებ.

**- იოახიმ ლიოვს უნდა, რომ გერმანიის ნაკრებმა დორტმუნდის „ბორუსიას" სტილში ითამაშოს - მეტოქის ნახევარზე სწრაფ პრესინგს მიმართოს და მოწინააღმდეგე მისსავე საჯარიმოსთან შეაწუხოს. როგორ ფიქრობთ, „ბაიერნის" ფეხბურთელები ამ სტრატეგიას ალღოს იოლად აუღებენ? რეკორდმაისტერი ასე ხომ არ თამაშობს...**

- ჩემი აზრით, გერმანია შეძლებს ასე თამაშს, რადგან 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში სამი შემტევი ნახევარმცველიდან ორი დორტმუნდელია. ვფიქრობ, რომ მარკო როისთან და მარიო გიოტცესთან ერთად, ასეთ სტრატეგიას თომას მიულერიც იოლად შეეგუება. სხვათა შორის, ამ სეზონში „ბაიერნიც" დაახლოებით ასეთ სტილში თამაშობს - რეკორდმაისტერიც სწრაფად უტევს. დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ბუნდესგუნდი მეტწილად „დორტმუნდისა" და „ბაიერნის" ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული - ისე, როგორც ეს 70-იან წლებში იყო, როცა ნაკრებში „ბაიერნისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მოთამაშეები სჭარბობდნენ.

**- კაპიტანმა ფილიპ ლამმა თქვა, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ პირველობა უნდა იყოსო. სწორად მოიქცა?**

- რატომ დასვით ეს კითხვა? ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ გერმანიას მსოფლიოს ჩემპიონობა არ შეუძლია? ბუნდესგუნდმა ტიტული ბოლოს 1996 წელს მოიპოვა და დროა, ისევ რალაც მოვიგოთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბრაზილიიდან მსოფლიოს თასის წამოღება ურთულესი იქნება. მაინც ჩემ აზრზე ვრჩები: მუნდიალი ჩვენ 2006 წელს, ჩვენს კედლებში უნდა მოგვეგო. მერე ესპანეთის ერა დაიწყო და პირენეელებს მართლაც საუკუნის გუნდი ჰყავთ, თუმცა ესპანეთის ნაკრების ჰეგემონიაც ოდესმე დამთავრდება.

**- „ბაიერნმა" ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირფასი ტრანსფერი სრულყო - რეკორდმაისტერმა ხავი მარტინესში 40 მილიონი ევრო გადაიხადა. თქვენც ფიქრობთ, რომ ამით მიუნხენელებმა ჩემპიონობა იყიდეს?**

- ტიტულს ფულით ვერ იყიდი, კარგი ტრანსფერი მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. მარტინესმა „შტუტგარტთან" ცოტა ხანს ითამაშა, მაგრამ მე მასში მაინც უდიდესი პოტენციალი დავინახე. „ბაიერნი" ახლა იდეალურადაა დაკომპლექტებული, იუპ ჰაინკესი კი ბედნიერი მწვრთნელია, ამდენი კარგი ფეხბურთელი რომ ჰყავს.

**- თქვენ რომ „ბაიერნის" სამეთვალყურეო საბჭოში ყოფილიყავით, მარტინესის ტრანსფერს მწვანეს აუნთებდით?**

- აუცილებლად! როცა მწვრთნელი და მენეჯერი ფეხბურთელის შესაძლებლობებში ასე დარწმუნებულები არიან, სამეთვალყურეო საბჭომ გარიგებას ხელი არ უნდა შეუშალოს. „ბაიერნი" საფეხბურთო გუნდია, რომელიც ცათამბჯენებს კი არ აშენებს, არამედ ფული მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ გუნდი გააძლიეროს.

**- როგორ ფიქრობთ, შემატებს მათიას ზამერი „ბაიერნს" იმ „ცეცხლს", რაც რეკორდმაისტერს ბოლო წლებში აშკარად აკლდა?**

- შეიძლება ეს არ იცოდეთ და ახლა გეტყვით: ჩემი პრეზიდენტობის დროს ჩვენ, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს, მათიასის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ორჯერ გვინდოდა. ერთხელ იმ დროს, როცა იურგენ კლინსმანი დავნიშნეთ, მერე კი იმ მომენტში, როცა ბოლოს ლუის ვან გაალი მოვიწვიეთ. მიხარია, რომ ზამერი ბოლოს და ბოლოს „ბაიერნში" დაინიშნა და მართალია, მწვრთნელი არ არის, მაგრამ სპორტული დირექტორის პოსტიდანაც უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია. ვფიქრობ, რომ ზამერი ჰაინკესსაც გააძლიერებს. ერთი სიტყვით, მათიასის დანიშვნას ასი პროცენტით მივესალმები.

**- დაასრულეთ წინადადება: მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი გახდება იმიტომ, რომ...**

- სწორ გზას ადგას და ჩემპიონობას ყველაზე მეტად იმსახურებს.

**- საფეხბურთო გერმანია შოკირებულია იმით, რაც „კიოლნის" ფეხბურთელ კევინ პეცონის გარშემო ხდება - „ფანები" მას მოკვლით ემუქრებიან. თქვენს დროსაც ხდებოდა ასეთები?**

- სამწუხაროდ, ასეთი ამბები მაშინაც ხდებოდა. 1974 წლის მუნდიალის წინ ჩვენც გვემუქრებოდნენ - ოღონდ, არა ფანები, არამედ ერთი კონკრეტული ბანდა. იძულებული გავხდი, ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის პირადი მცველები ამეყვანა. უბრალოდ, დღეს სხვა კატეგორიის მუქარას ვხედავთ. ინტერნეტის საშუალებით დღეს დამნაშავეებს დანაშაულის დაგეგმვა ხუთ წუთში შეუძლიათ. ადრე ამის ორგანიზებას მინიმუმ ერთი კვირა დასჭირდებოდა. ესენი ფანები არ არიან - მათ არა მარტო ფეხბურთის, არამედ ყველას და ყველაფრის განადგურება სურთ. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა, საფეხბურთო ლიგამ, ნამდვილმა გულშემატკივრებმა და სახელმწიფომ ასეთ ტიპებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ.

**გოტფრიდ ლენცი**

## ბრაზილია 2014. ევროპა. II ტური

### A ჯგუფი

**სერბეთი-უელსი 6:1**

**გოლები:** 1:0 კოლაროვი (16), 2:0 ტოშიჩი (24), 2:1 ბეილი (31), 3:1 ჯურიჩი (39), 4:1 ტადიჩი (55), 5:1 ივანოვიჩი (80), 6:1 სულეიმანი (90).

**ბელგია-ხორვატია 1:1**

**ბელგია** (4-4-2): კურტუა – ჟილე, კომპანი, ვერლაელენი, ვერტონგენი – დეფური (ფელაინი 67), ვიტსელი, მერტენსი (მირალიასი 81), აზარი – დემბელე (დე ბრუინი 72), ბენტეკე

**ხორვატია** (4-4-2): პლეტიკოშა – ვიდა, სტრინიჩი, შიმუნიჩი, შილდელფელდი – სრნა, რადოშევიჩი (ვუკოიევიჩი 78), მოდრიჩი, პერიშიჩი – მანჯუკიჩი (კალინიჩი 88), იელავიჩი (ოლიჩი 59)

**გოლები:** 0:1 პერიშიჩი (6), 1:1 ჟილე (45).

**შოტლანდია-მაკედონია 1:1**

**გოლები:** 0:1 ნოვესკი (11), 1:1 მილერი (43).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 2. ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. შოტლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 5. მაკედონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 6. უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

### B ჯგუფი

**ბულგარეთი-სომხეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 მილანოვი (43).

**გაძევება:** დიაკოვი – პიცელი, ლაზარიანი

**იტალია-მალტა 2:0**

იტალია (4-3-1-2): ბუფონი – კასანი, ბარძალი, ბონუჩი, პელუზო – ნოჩერინო, პირლო, მარკიზიო – დიამანტი (ინსინიე 46) – დესტრო (ჯოვინკო 82), ოსვალდო (პაცინი 69)

**გოლები:** 1:0 დესტრო (5), 2:0 პელუზო (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. სომხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 6. მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### C ჯგუფი

**ავსტრია-გერმანია 1:2**

**გერმანია** (4-2-3-1): ნოიერი – ლამი, ჰუმელსი, ბადშტუბერი, შმელცერი – ხედირა, კროოსი – მიულერი, იოზილი, როისი (გიოტცე 46) – კლოზე (პოდოლსკი 75)

**გოლები:** 0:1 როისი (44), 0:2 იოზილი (52-პენ), 1:2 იუნუზოვიჩი (57).

**შვედეთი-ყაზახეთი 2:0**

**გოლები:** 1:0 რ. ელმი (37), 2:0 ბერგი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 4. ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 5. ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 6. ფარერები | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### D ჯგუფი

**რუმინეთი-ანდორა 4:0**

**გოლები:** ტორიე (29), 2:0 ლაზარი (44), 3:0 გამანი (90), 4:0 მაქსიმი (90).

**თურქეთი-ესტონეთი 3:0**

**გოლები:** 1:0 ემრე ბელოზოღლუ (44), 2:0 უმუთ ბულუთი (60), 3:0 სელჯუკ ინანი (75).

**უნგრეთი-ჰოლანდია 1:4**

**ჰოლანდია** (4-3-3): სტეკელენბურგი – ვან რინი, ვლაარი, მარტინს ინდი (მატიისენი 64), ვილემსი – სტროოტმანი (მაერი 78), კლასი, სნეიდერი – ლენსი, ნარსინგი, ვან პერსი (ჰუნტელაარი 46)

**გოლები:** 0:1 ლენსი (3), 1-1 ჯუჯაკი (7-პენ), 1:2 მარტინს ინდი (19), 1:3 ლენსი (53), 1:4 ჰუნტელაარი (74).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3. უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 3 |
| 4. თურქეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 5. ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| 6. ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

### E ჯგუფი

**კვიპროსი-ისლანდია 1:0**

**გოლი:** 1:0 მაკრიდისი (57).

**ნორვეგია-სლოვენია 2:1**

**გოლები:** 0:1 შულერი (17), 1:1 მ. ჰენრიკსენი (26), 2:1 ი. რიისე (90-პენ).

**შვეიცარია-ალბანეთი 2:0**

**შვეიცარია** (4-5-1): ბენალიო – ლიხტშტაინერი, ფონ ბერგენი, ჯურუ, რ. როდრიგესი – ბეჰრამი (ჯემაილი 72), ინლერი, ჯაკა (დრმიჩი 90), შტოკერი (მეჰმედი 79), შაჩირი - დერდიოკი

**გოლები:** 1:0 შაჩირი (23), 2:0 ინლერი (68-პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 5. ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 6. სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

### F ჯგუფი

**ისრაელი-რუსეთი 0:4**

**გოლები:** 0:1 კერჟაკოვი (7), 0:2 კოკორინი (18), 0:3 კერჟაკოვი (64), 0:4 ფაიზულინი (77).

**ჩრდ. ირლანდია-ლუქსემბურგი 1:1**

**გოლები:** 1:0 შილსი (14), 1:1 და მოტა (87)

**პორტუგალია-აზერბაიჯანი 3:0**

**პორტუგალია** (4-3-3): რუი პატრისიო – ჟოაო პერეირა, ბრუნო ალვეში, პეპე, ფაბიო კოენტრაო – მიგელ ველოზო (ვარელა 63), რაულ მეირელეში, ჟოაო მოუტინიო – ნანი (რუბენ ამორიმი 77), კრისტიანო რონალდო, ელდერ პოშტიგა (ედერი 87)

**გოლები:** 1:0 ვარელა (64), 2:0 ელდერ პოშტიგა (85), 3:0 ბრუნო ალვეში (88).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. ჩ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 5. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 6. ისრაელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

### G ჯგუფი

**ბოსნია-ლატვია 4:1**

**გოლები:** 0-1 გორკსი (5), 1:1 მისიმოვიჩი (12-პენ), 2:1 პიანიჩი (44), 3:1 მისიმოვიჩი (54), 4:1 ჯეკო (90).

**სლოვაკეთი-ლიხტენშტეინი 2:0**

**გოლები:** 1:0 საპარა (36), 2:0 იაკუბკო (78).

**საბერძნეთი-ლიტვა 2:0**

**გოლები:** 1:0 ნინისი (56), 2:0 მიტროღლუ (71).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 2 | 2 | 0 | 0 | 12-2 | 6 |
| 2. საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ლიტვა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 5. ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 6. ლიხტენ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-10 | 0 |

### H ჯგუფი

**სან მარინო-ჩერნოგორია 0:6**

**გოლები:** 0:1 ჯორდევიჩი (24), 0:2 ბეჩირაი (26), 0:3 ბეჩირაი (51), 0:4 ზვეროტიჩი (69), 0:5 დელიბაშიჩი (78), 0:6 დელიბაშიჩი (82).

**პოლონეთი-მოლდოვა 2:0**

**გოლები:** 1:0 ბლაშჩიკოვსკი (33-პენ), 2:0 ვავრჟინიაკი (81).

**ინგლისი-უკრაინა 1:1**

**ინგლისი** (4-4-1-1): ჰარტი – გ. ჯონსონი, იაგიელკა, ლესკოტი, ბეინსი (ბერტრანი 73) – მილნერი, ლემპარდი, ჯერარდი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (სტარიჯი 69) – კლევერლი (უელბეკი 62) - დეფო

**გოლები:** 0:1 კონოპლიანკა (39), 1:1 ლემპარდი (87-პენ).

**გაძევება:** ჯერარდი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| 2. ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 3. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. უკრაინა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 5. სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |
| 6. მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 4- ჯეკო (ბოსნია), მისიმოვიჩი (ბოსნია); 3 – იბიშევიჩი (ბოსნია), ლამპარდი (ინგლისი), იოზილი (გერმანია).



ინგლისი-უკრაინა 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

● უეფა




# მათრახი და თაფლაკვერი

## შავ სიაში 23 კლუბია, 575 კი ბონუსებს მიიღებს

### დასჯილები

გუშინ ევროპული ფეხბურთის სათავო ორგანიზაციამ (უეფა) უპრეცენდენტო გადაწყვეტილება მიიღო, 23 კლუბს ევროთასებზე მონაწილეობით დამსახურებული ჰონორარები დროებით „გაუყინა". ამის შესახებ უეფას ფინანსური კონტროლის კომისიამ გამოაცხადა. ამ კომისიას ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ჟან ლუკ დეჰანი** ხელმძღვანელობს. დეჰანის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება, რომლის დასრულებამდეც ეს კლუბები ვერ მიიღებენ კუთვნილ ჰონორარებს. მოკლედ, უეფას ახალი, ფინანსური ფეირ პლეის პრინციპის პირველი მსხვერპლები გახდნენ: „ბანია ლუკა", „სარაევო" და „ჟელეზნიჩარი" (ბოსნია), ცსკა (ბულგარეთი), „ჰაიდუკი" და „ოსიეკი" (ხორვატია), „ატლეტიკო" და „მალაგა" (ესპანეთი), „შკენდია" (მაკედონია), „ფლორიანა" (მალტა), „ბუდუჩნოსტი" და „რუდარი" (ჩერნოგორია), „რუხი" (პოლონეთი), „სპორტინგი" (პორტუგალია), „დინამო", „ვასლუი" და „რაპიდი" (რუმინეთი), „რუბინი" (რუსეთი), „პარტიზანი" და „ვოივოდინა" (სერბეთი), „ესკიშეჰირი" და „ფენერბაჰჩე" (თურქეთი). როგორც ხედავთ, „შავ სიაში" რამდენიმე ცნობილი და ავტორიტეტული კლუბიც მოხვდა.

უეფას ფინანსური კონტროლის სამსახური მორიგ სიახლეს 30 სექტემბერს შემოგვთავაზებს, მაშინ გავიგებთ, რა ბედი ეწევათ ამ კლუბებს. არ არის გამორიცხული, რომ „შავ სიაში" სხვა კლუბებიც მოხვდნენ.

### ევროს წარმატებაში ბაიერნის წვლილი დიდია

ამავდროულად, უეფამ გამოაცხადა, რომ ჯამში 575 კლუბი მიიღებს ბონუსებს, რომლებიც ევრო 2012-ის წარმატებული ჩატარებიდან დარჩა. ეს თანხა მარტში უეფასა და ევროპის კლუბთა ასოციაციას (ECA) შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად გადანაწილდება. ევრო 2008-ის დასრულების შემდეგ ბონუსები სულ 180 კლუბმა მიიღო, როგორც ხედავთ, კლუბების რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. სულ 100 მილიონი ევრო გამოიყო, რომლისგანაც 40 მილიონი განაწილდა იმ კლუბებზე, რომელთაც ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო მატჩებში გაუშვეს თავიანთი ფეხბურთელები, ხოლო 60 მილიონი ფინალურ ეტაპზე გაშვებული ფეხბურთელებისთვის გამოიყო.

დაანგარიშების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კლუბებს შორის ევროპის ჩემპიონატის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუნხენის „ბაიერნს" მიუძღვის. გერმანულმა გრანდმა ყველაზე დიდი თანხაც მიიღო - 3 მილიონ ევროზე ოდნავ მეტი. შემდეგ მოდიან: „რეალი" (2,9 მლნ), „ბარსელონა" (2,2), „მანჩესტერ სიტი (2), „იუვენტუსი" (2) და „ლივერპული" (1,9).

ეკა-ს თავჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა: „ევროპული კლუბების ასოციაცია კმაყოფილია, უეფას მიერ ბონუსების სამართლიანად გადანაწილების გამო. ევროპულ საფეხბურთო ოჯახში ძალიან კარგი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ეს კი საბოლოოდ ძალიან კარგია თავად ფეხბურთისათვის".

ევრო 2016-ის შემდეგ უეფა ბონუსების სახით 150 მილიონი ევროს გადანაწილებას აპირებს.

● ამბავი

### კონტრაქტი რონალდოს... კარიერის ბოლომდე

„ბარსელონას" და „რეალს" თითქმის ერთდროულად მოუვიდათ ეს იდეა - ისინი მალე თავიანთ სუპერვარსკვლავებს, **ლიონელ მესის** და **კრიშტიანო რონალდოს** (შესაბამისად) ახალ კონტრაქტებს შესთავაზებენ, ჯერ არნახული ფორმულირებით - კარიერის ბოლომდე! მადრიდულ კლუბში ხელმძღვანელობა კრიშტიანო რონალდოს ბოლო განცხადებამ შეაფუცხუნა - „გრანადასთან" მატჩში პორტუგალიელმა გოლები არ იზეიმა და მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ „რეალში" თავს ბედნიერად არ გრძნობს. ესპანური პრესის ცნობით, **ფლორენტინო პერესმა** უკვე დაავალა კლუბის იურისტებს რონალდოსთან ახალი, გაუმჯობესებული ხელშეკრულების მომზადება, რომლის მთავარი პუნქტი ზემოთ უკვე ვახსენეთ.

### ობაფემი ლევანტეში

ყაზანის „რუბინმა" ხელშეკრულება გაწყვიტა აფრიკელ ფორვარდ **ობაფემი მარტინსთან**. 27 წლის ნიგერიელი რუსეთში 2010 წელს ჩავიდა გერმანული „ვოლფსბურგიდან". ბოლოს **ყურბან ბერდიევი** გეგმებს მარტინსის გარეშე აწყობდა, მას პირველ გუნდთან ერთად არც კი ავარჯიშებდა. მარტინსი უმუშევრად არ დარჩება, უახლოეს დღეებში ის ევროპალიგის მონაწილე „ლევანტესთან" გააფორმებს ხელშეკრულებას. რადგან აფრიკელი თავისუფალი აგენტია, მის ტრანსფერს სატრანსფერო ფანჯრის დახურვა ხელს ვერ შეუშლის.

### ამხანაგური მატჩი

**ბრაზილია-ჩინეთი 8:0**

**ბრაზილია:** დიეგო ალვეში - დანი ალვეში (71. ადრიანო), დავიდ ლუიზი (76. რევერი), რომულო (77. სანდრო), დედე - რამირესი (62. არუკა), ლუკასი, მარსელო - ოსკარი (80. ლეანდრო დამიაო), ჰალკი, ნეიმარი (71. ჟონასი).

**გოლები:** 1:0 რამირესი (23), 2:0 ნეიმარი (26), 3:0 ლუკასი (49), 4:0 ჰალკი (52), 5:0 ნეიმარი (54), 6:0 ნეიმარი (60), 7:0 ლიუ ი (70 ს.კ.), 8:0 ოსკარი (76-პენ).

● U21. საკვალიფიკაციო ეტაპის შეჯამება

# ახალგაზრდული პლეი ოფი დაკომპლექტდა

## კიდევ ერთი უიმედოდ ჩავლილი ციკლი, კიდევ ერთი იმედგაცრუება


ინგლისელი კონორ უიქჰემი ნორვეგიელთა კარის დალაშქვრას ზეიმობს

დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, ახლა პლეი ოფი გაარკვევს იმ 7 გუნდის ვინაობას, რომლებიც 2013 წლის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი ისრაელში, 15-28 ივნისს გაიმართება. მასპინძლებს, ბუნებრივია, დაზღვეული აქვთ ამ ტურნირში მონაწილეობა. 10 სექტემბერს კი გაირკვა პლეი ოფის მონაწილე 14-ივე ნაკრების ვინაობა.

შესარჩევ ციკლში მონაწილეობა 52-მა ნაკრებმა მიიღო, მათ შორის საქართველომაც. სულ 10 ქვეჯგუფი შეიქმნა (2 - 6-გუნდიანი, სხვები - 5-გუნდიანი) - პლეი ოფში ყველა პირველადგილოსანი და 4 საუკეთესო მე-2-ადგილოსანი გავიდა. ესენია: გერმანია, შვედეთი, ჩეხეთი, სერბეთი, ესპანეთი, რუსეთი, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, დანია, შვეიცარია, ნორვეგია და სლოვაკეთი.

როგორც ხედავთ, იმ ჯგუფიდან (მე-5), სადაც ჩვენი ნაკრები ასპარეზობდა, ორი გუნდი გავიდა: ესპანეთი და შვეიცარია. ალექსანდრე ჩივაძის გუნდი კი საბოლოოდ მე-3 ადგილს დასჯერდა. 8-დან 3 მოგებულით, 1 ფრით და 4 მარცხით. ჩვენს გუნდს ბურთების ბალანსიც უარყოფითი ჰქონდა - 8-18, ქულათა მარაგით (10 ქულა) შვეიცარიას 7-ით, ხოლო ესპანეთს 12 ქულით ჩამორჩა. ასეთი შედეგით, ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატზე არაფერი გვესაქმებოდა.

არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო შარშან ივნისში, როცა **ოთარ გაბელიას** გუნდმა სტუმრად **ივო შუშაკის** ხორვატია 1:0 დაამარცხა (თორნიკე თარხნიშვილი). მაგრამ ამას 1 სექტემბერს ქუთაისური კოშმარი მოჰყვა, როცა **ლუის მილიას** ესპანეთმა 7:2 გაგვანადგურა. უკვე 39 წუთში ესპანელები 6:0-ს იგებდნენ! 4 დღეში საქართველო ესპანეთში უფრო მოკრძალებული ანგარიშით დამარცხდა - 0:2. ეს გაბელიას ბოლო მატჩი იყო თანამდებობაზე, ოქტომბერში გუნდი უკვე **სოსო ჭედიამ** გაიყვანა შვეიცარიელებთან საშინაო მატჩში - 0:1. შემდეგ ტურში ჭედიას გუნდიც შერცხვა, იმავე შვეიცარიელებთან 0:5 განადგურდა. ასე ჩაიბარა წლეულს უმოტივაციო გუნდი **ალექსანდრე ჩივაძემ**, რომელმაც ორი შეხვედრა მოიგო (ორივე აუტსაიდერ ესტონეთთან) და ერთი ფრედ ითამაშა (შინ ხორვატიასთან). მოკლედ, 10 ქულიდან 7 ნაკრებს ჩივაძემ ბოლოსლა მოუპოვა და ის დიდი ჩავარდნისგან იხსნა. 6 მატჩში გატანილი 8 გოლი, ძალიან დაბალი შედეგი (ისიც ბოლოსკენ გამოსწორდა). მაგალითად, ჩეხ **იან ხრამოსტას** საქართველოს ნაკრებზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

პარასკევს პლეი ოფის (12 და 16 ოქტომბერს გაიმართება) კენჭისყრა გაიმართება. მანამდე კი ნაკრებები განთესეს. წინა გამარჯვებული ესპანეთი, ჩეხეთი, ინგლისი, ჰოლანდია, გერმანია, იტალია და საფრანგეთი განთესილები არიან. კენჭისყრა ნიონში ადგილობრივი დროით 14 საათზე გაიმართება. ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდებიან ერთ ჯგუფში ნათამაშები გუნდები. ფინალური ტურნირის კენჭისყრა კი 28 ნოემბერს გაიმართება.


ტროფეი, რომელსაც მომავალი გამარჯვებული ჩაიბარებს

### საკვალიფიკაციო ეტაპი. საბოლოო მდგომარეობა

**I ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 10 | 9 | 1 | 0 | 39-9 | 28 |
| 2. ბოსნია | 10 | 6 | 2 | 2 | 25-12 | 20 |
| 3. საბერძნეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-15 | 13 |
| 4. ბელარუსი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-17 | 13 |
| 5. კვიპროსი | 10 | 4 | 0 | 6 | 16-20 | 12 |
| 6. სან მარინო | 10 | 0 | 1 | 9 | 2-34 | 1 |

**II ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 18-10 | 22 |
| 2. სლოვენია | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| 3. უკრაინა | 10 | 5 | 2 | 3 | 21-10 | 17 |
| 4. ფინეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 5. ლიტვა | 10 | 3 | 0 | 7 | 9-18 | 9 |
| 6. მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-23 | 5 |

**III ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 24-3 | 20 |
| 2. სომხეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-5 | 15 |
| 3. ჩერნოგორია | 8 | 3 | 2 | 3 | 14-8 | 11 |
| 4. უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-10 | 10 |
| 5. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2-32 | 0 |

**IV ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 17-4 | 18 |
| 2. დანია | 8 | 4 | 4 | 0 | 19-8 | 16 |
| 3. მაკედონია | 8 | 3 | 3 | 2 | 14-15 | 12 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 8 | 1 | 1 | 6 | 5-13 | 4 |
| 5. ფარერები | 8 | 0 | 3 | 5 | 3-18 | 3 |

**V ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 27-2 | 22 |
| 2. შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-4 | 17 |
| 3. საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 8-18 | 10 |
| 4. ხორვატია | 8 | 2 | 1 | 5 | 7-16 | 7 |
| 5. ესტონეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-19 | 1 |

**VI ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-5 | 17 |
| 2. პორტუგალია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-6 | 15 |
| 3. პოლონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 4. მოლდოვა | 8 | 2 | 1 | 5 | 10-24 | 7 |
| 5. ალბანეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 11-18 | 5 |

**VII ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 27-8 | 19 |
| 2. თურქეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 13-7 | 15 |
| 3. ირლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 15-10 | 13 |
| 4. უნგრეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 11-10 | 12 |
| 5. ლიხტენშტეინი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-35 | 0 |

**VIII ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 7 | 0 | 1 | 24-3 | 21 |
| 2. ნორვეგია | 8 | 5 | 1 | 2 | 13-7 | 16 |
| 3. ბელგია | 8 | 3 | 2 | 3 | 17-15 | 11 |
| 4. აზერბაიჯანი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-18 | 7 |
| 5. ისლანდია | 8 | 1 | 0 | 7 | 4-21 | 3 |

**IX ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 19-2 | 21 |
| 2. სლოვაკეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 17-7 | 15 |
| 3. რუმინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 4. ყაზახეთი | 8 | 0 | 4 | 4 | 2-14 | 4 |
| 5. ლატვია | 8 | 0 | 2 | 6 | 1-21 | 2 |

**X ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 6 | 1 | 1 | 21-3 | 19 |
| 2. შოტლანდია | 8 | 3 | 4 | 1 | 16-9 | 13 |
| 3. ბულგარეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-12 | 12 |
| 4. ავსტრია | 8 | 3 | 2 | 3 | 15-14 | 11 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 6-31 | 0 |

**საუკეთესო მე-2-ადგილოსანის გამოსავლენი ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-4 | 17 |
| 2. დანია | 8 | 4 | 4 | 0 | 19-8 | 16 |
| 3. ნორვეგია | 8 | 5 | 1 | 2 | 13-7 | 16 |
| 4. სლოვაკეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 17-7 | 15 |
| 5. პორტუგალია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-6 | 15 |
| 6. თურქეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 13-7 | 15 |
| 7. სომხეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-5 | 15 |
| 8. ბოსნია | 8 | 4 | 2 | 2 | 19-11 | 14 |
| 9. სლოვენია | 8 | 4 | 2 | 2 | 9-6 | 14 |
| 10. შოტლანდია | 8 | 3 | 4 | 1 | 16-9 | 13 |

**ბომბარდირები:** 9 - იან ხრამოსტა (ჩეხეთი); 8 - პენიელ მლაპა (გერმანია), ჯორდან როუდსი (შოტლანდია), ხენერო ზეეფუიკი (ჰოლანდია); 7 - როდრიგო (ესპანეთი); 6 - ნემანია ბილბია (ბოსნია), მანოლო გაბიადინი (იტალია), არმანდო სადიკუ (ალბანეთი), მილან ძიურიჩი (ბოსნია).

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ტრავმა



დანიელე დე როსი ბულგარეთთან მატჩში დაშავდა

# დე როსი იოლად გადარჩა

ბულგარეთის და იტალიის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირებისას **დანიელე დე როსიმ** ტრავმა მიიღო და ლაზარეთში გადაინაცვლა. ექიმთა პირველადი დასკვნის თანახმად, "რომას" შუახაზელს სულ მცირე, ერთი თვე უნდა ემკურნალა, მაგრამ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სარეაბილიტაციო პერიოდი მხოლოდ ორ კვირას ნაილებს. "მხოლოდ ორი კვირა მომიწევს უქმობა და ეს ძალიან მახარებს, რადგან მინიმუმ ერთთვიან უქმობას ველოდებოდი. მართალია, იტალიის ნაკრებს მალტას წინააღმდეგ ვერ დავეხმარები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პირველ გამარჯვებას ბიჭები ჩემ გარეშე მოიპოვებენ. ვეცდები, ექიმთა ყველა რჩევა გავითვალისწინო, რათა მოედანს ორი კვირის თავზე დავუბრუნდე", - განაცხადა გახარებულმა დე როსიმ.

მილანი

# ალეგრი: თაობათა ცვლა ყოველთვის მტკივნეულია

## აბატე და ბოატენგი გამოჯანმრთელდნენ

არწყდება საუბრები "მილანის" მიერ სატრანსფერო ფანჯრის ჩაგდების შესახებ, რამაც კლუბის სავარაუდო კრიზისი უნდა გამოიწვიოს. მოკლედ, მთელი საფეხბურთო იტალია "როსონერის" ჩავარდნის მოლოდინშია და ეს სწორედაც რომ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკამ განაპირობა. გუნდის მთავარი მწვრთნელი, **მასიმილიანო ალეგრი** "კორიერე დელო სპორტს" სწორედ აღნიშნულ საკითხზე ესაუბრა და დასძინა, რომ შემადგენლობის გადახალისება გარდაუვალი იყო:

"კარლო ანჩელოტის ძალიან გაუმართლა, როდესაც ფორმის პიკში მყოფ გატუზოსთან, ნესტასთან, ზეედორფთან და ინძაგისთან მოუწია მუშაობამ. მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი მათთან ერთად, მაგრამ სამწუხაროდ, საუკეთესო წლები მათ უკან მოიტოვეს და მათი ახალგაზრდა ფეხბურთელებით ჩანაცვლება მოგვიწია. თაობათა ცვლის პროცესი ხშირად მტკივნეულია, მაგრამ ამას ვერ გავექცევით, ვერც ჩვენ და ვერც ნებისმიერი სხვა გუნდი. გარკვეულწილად, ამ პროცესს შეეწირა ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელიც ძველი გუნდის შემადგენელი ნაწილი იყო. დიახ, ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ, რომელიც უდიდეს წარმატებებს მიაღწევს".

"მილანის" გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია გვაქვს – **ინაციო აბატე** და **კევინ პრინს ბოატენგი** სრულად გამოჯანმრთელდნენ, გუშინ კი გუნდთან ერთად ივარჯიშეს. შეგახსენებთ, რომ განელმა დაახლოებით ერთი თვის წინ ხელზე ოპერაცია გაიკეთა, აბატეს კი საზარდულის ტრავმა ჰქონდა. "მილანის" ოფიციალური ვებგვერდის მტკიცებით, ორივე მათგანი უკვე მომდევნო შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელშიც "მილანი" "ატალანტას" უმასპინძლებს.




კევინ პრინს ბოატენგი სრულ მზადყოფნაშია

მოსაზრება

# ლიპი: კალჩოს ძალა ახალგაზრდებშია

## მეტი ყურადღება ევროტურნირებს



**იტალიური სპორტული პრესის** ფურცლებზე პერიოდულად მარჩელო ლიპის მოსაზრებები იბეჭდება, რომლებიც ძირითადად იტალიურ ფეხბურთში არსებულ პრობლემებს ეხება. გამონაკლისი არც "გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული მასალა ყოფილა, რომელშიც მაესტრომ საინტერესო თემებზე ილაპარაკა და უმჯობესია, რომ სიტყვა მას გადავცეთ...

### იტალიური ფეხბურთი დღეს

ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ყველაფერი არც ისე ცუდად არის, როგორც ეს ბევრს ჰგონია. თუმცა, პრობლემები სახეზეა და მათი გადაჭრა რომ აუცილებელია, ცხადზე ცხადია. განსაკუთრებით ეს კლუბებზე ითქმის, რომლებიც თითქოს ფეხს ველარ უწყობენ წამყვან ევროპულ დონეს და შედეგებიც შესაბამისი აქვთ. ეს ფაქტია და ვითარება გამოსწორებას საჭიროებს. სად არის გამოსავალი? – ჩემი აზრით, გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია, რაც შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მაგალითად, თუ რამდენიმე წლის წინ, იტალიური გუნდები ძირითადად ვეტერან ფეხბურთელებზე აკეთებდნენ აქცენტს, დღეს წინა პლანზე ახალგაზრდები წამოვიდნენ; სწორედ ახალგაზრდულ ენერგიაშია იტალიური ფეხბურთის მომავალი და ამას უკვე დიდი ხანია ვამბობ. ვნახოთ, იმედია ეს ტენდენცია დიდხანს შენარჩუნდება.

### სერია A

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალიან საინტერესო ბატალიებს გვპირდება, რადგან გუნდებს შორის დონე დაახლოებით თანაბარია, ანუ დაბალანსებული. შესაბამისად, პროგნოზების გაკეთება პრაქტიკულად წარმოუდგენელია და ამ მხრივ, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. "მილანი" ბევრმა ჩამოწერა, მაგრამ მე ასე არ ვიტყოდი – ლომბარდიელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ძველი დიდება დაიბრუნონ და მგონია, რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევენ. მართალია, ამ ზაფხულს ბევრ ფეხბურთელს შეელივნენ, მაგრამ სამაგიეროდ, ახალი გუნდის შენება დაიწყეს. ძალიან ძლიერია "იუვენტუსი", რომელსაც კონკურენციას "რომა", "ნაპოლი" და "ინტერი" გაუწევენ, რა თქმა უნდა, "მილანთან" ერთად. პირადად მე, საინტერესო ბრძოლების მოლოდინში ვარ.

### იტალიური კლუბები ევროარენაზე

ამ შემთხვევაშიც, პროგნოზების კეთება პრაქტიკულად წარმოუდგენელია და ამიტომ, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. იმედი მაქვს, რომ ბოლო წლების ტრადიციას დავარღვევთ და ორივე ფრონტზე წარმატებით გამოვალთ. ჩემი პირადი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ევროპის ლიგის გათამაშებაა, სადაც მუდმივად წარუმატებლად ვასპარეზობთ. სწორედ ამ ტურნირში კრეფენ ქვეყნები ქულებს და ეს კარგად უნდა გავითავისოთ. საერთოდ, დროა, რომ ევროტურნირებს უფრო დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ, ვიდრე შიდა პირველობას, რადგან ამით, მთლიანად იტალიური ფეხბურთის იმიჯს გადავარჩენთ.

მწვრთნელი




დელიო როსი VS ადემ ლიაიჩი

# დელიო როსის გასაჭირი

## ერთი ეპიზოდის მსხვერპლი

**დელიო როსი** ყველასათვის ცნობილი სპეციალისტია, რომელიც არაერთ იტალიურ გუნდს ედგა სათავეში და კარგი შედეგებითაც შეუძლია დაიკვეხნოს. მაგალითად, რამდენიმე წელი "ლაციოს" ედგა სათავეში და მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა, გუნდს ყოველთვის მაღალი ადგილებისთვის აბრძოლებდა. მოკლედ, როსის კვალიფიკაცია არ დაეწუნება, მაგრამ აგერ უკვე რა ხანია უსაქმოდ გახლავთ და ისეთი პირი უჩანს, რომ ვერც უახლოეს მომავალში დასაქმდება. სადღაც, ეს ლოგიკურიც არის, რადგან რთულია კარი ისეთ სპეციალისტს გაუღო, რომელმაც თამაშის დროს, თავისივე შეგირდის სცემა, თუნდაც დამნაშავე. დიახ, "ფიორენტინა" სერია A-ს რიგით კალენდარულ მატჩს მართავდა, როდესაც **ადემ ლიაიჩთან** ჩხუბი მოუვიდა და ეს ყველაფერი ათასობით გულშემატკივრის და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ მოხდა. მეორე დღეს, მწვრთნელმა თავის მართლება სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო – კლუბის მესვეურებმა მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს.

დელიო როსის არსად აღარ იწვევენ და სწორედ ამ ამბით შეშფოთებულმა "კორიერე დელო სპორტთან" გული მოიოხა: "დიდი ხანია, რაც უკლუბოდ ვარ და ამ ხნის განმავლობაში ერთი წინადადებაც არ მიმიღია. როგორც ჩანს, იმ ერთმა ეპიზოდმა დათვური სამსახური გამიწია, რასაც ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. კარგად რომ არ მოვიქეცით, ეს შესანიშნავად ვიცი, მაგრამ თუ ამის გამო ამითვალწუნეს, განაჩენი მეტისმეტად მკაცრი მგონია. იმედს ვიტოვებ, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და საინტერესო შეთავაზებებს აუცილებლად მივიღებ".

დელიო როსიმ "ფიორენტინაში" გატარებული ექვსი თვე გაიხსენა და შემდეგი განაცხადა: "ფლორენცია იდეალური ადგილია, სადაც კი შეიძლება ვიცხოვრო და ვიმუშაო; გამომდინარე აქედან, ძალიან დამწყდა გული, როდესაც ხელშეკრულების განწყვეტის შესახებ გავიგე. "ვიოლაში" ძალიან რთული ექვსი თვე გავატარე, თუმცა მიუხედავად ამ სირთულეებისა, განვლილი პერიოდი სასიამოვნოდ მახსენდება. იყო ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი, რომელთანაც ურთიერთობა არ გამომდიოდა, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებას ვცდილობდი და არასდროს მიფიქრია მარტივი გამოსავლის მოძებნა – მაგალითად, კონკრეტული ფეხბურთელების ტრანსფერზე დაყენება. ჩემი სტილი ადამიანებთან საერთო ენის გამონახვაა და არა მწვრთნელის ძალაუფლებით სარგებლობა და მათი მარტივად მოშორება. ეს ბევრმა ვერ დაინახა, რამაც გული დამწყვიტა. მიუხედავად ამისა, ფლორენციაში გატარებული პერიოდი ყოველთვის სასიამოვნოდ გამახსენდება. დავბრუნდები თუ არა ოდესმე "ფიორენტინაში?" – ჩემი ნება რომ ყოფილიყო, იქიდან არც წამოვიდოდი. ვნახოთ, იქნებ ეს დღე მართლაც დადგეს, პირადად მე, უარს არ ვიტყოდი..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა

# პირველი შთაბეჭდილების ფენომენი

## 10 ყველაზე კურიოზული და საინტერესო წარდგენა ფეხბურთში




აურელიო დე ლაურენტისმა ნაპოლიში გიოქჰან ინლერი ასე წარადგინა

**ტრანსფერებით** დახუნძლული ზაფხული და უკლუბოდ დარჩენილი ფეხბურთელების აყვანები სექტემბრის პირველ დღეებში დასრულებულია - გუნდებმა ახალი ფეხბურთელები თუ მწვრთნელები წარადგინეს. როგორც წესი, ახალი მოთამაშეები პირველ პრესკონფერენციებზე ბანალურად საუბრობენ ხოლმე. „ძალიან მიხარია“, „შესანიშნავ გუნდში გადმოვედი“, „თამამად ვიტყვი, რომ ოცნება ამიხდა“ - ეს ის წინადადებებია, ფეხბურთელები თუ მწვრთნელები მათი წარდგენისას ყველაზე ხშირად რომ იყენებენ ხოლმე. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. თქვენთვის 10 ყველაზე საინტერესო და კურიოზული წარდგენა შევარჩიეთ.

### ოტო რეჰაგელი, ჰერტა, 2012 წელი

*„თავისი ეგო ყველამ უკან უნდა გადადოს,“* - ასე დაიწყო „მეფე ოტომ“ თებერვალში გამართული პრესკონფერენცია, რომელიც საფეხბურთო პუბლიკას ამცნობდა, რომ **რეჰაგელი** სეზონის ბოლომდე „ჰერტას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. პირველ წინადადებაში განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მერე კი - იცოცხლეთ: *„მე ვარ გენერალი და გუნდში წესრიგსა და დისციპლინას მოვითხოვ. მე სულით ხორცამდე ნამდვილი პრუსიელი ვარ, ან, შეგიძლიათ, დემოკრატი დიქტატორიც მიწოდოთ. მე რექტორიც ვარ და კანონიც, ყველა ჩემს ბრძანებას ემორჩილება!“*

რეჰაგელმა „ჰერტას“ ვერაფერი უშველა - ბერლინელები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდნენ, თუმცა ამ ამბავმა არც „მეფე ოტოს“ რეპუტაციას დააკლო რამე. თანაც, იმავე პრესკონფერენციაზე ნათქვამი ჰქონდა, მე უკვე ყველაფერს მივაღწიე და ჩემს რეპუტაციას საფრთხე ნამდვილად არ ემუქრებაო.

### აილტონი, იურდინგენი, 2009 წელი

**აილტონი** ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ენაწყლიანი და სახალისო ფეხბურთელია. კარიერის საუკეთესო წლებში ჟურნალისტებს მასთან ინტერვიუების ჩაწერა ძალიან უყვარდათ, რადგან პუტკუნა ბრაზილიელი ყოველთვის იტყოდა ისეთ რამეს, რაზეც მეორე დღეს მთელი გერმანია ილაპარაკებდა. აილტონმა ეს ქარიზმა არც კარიერის მიწურულს დაკარგა. დასტურად ის განცხადება გამოდგება, რომელიც მან 2009 წელს, მეექვსე ლიგის კლუბ „იურდინგენში“ წარდგენისას გააკეთა: *„ვიცი, რომ მთელი გერმანია დამცინებს!“*

ასეც იყო! და სხვათა შორის, მას „იურდინგენის“ ბოსმა **აგისილაოს კურკუდიალოსმაც** აუბა მხარი - გერმანიის მეექვსე ლიგაში ასეთი ტრანსფერი არასდროს განხორციელებულა და არც ამის მერე განხორციელდება ოდესმეო. თუმცა აილტონს იურდინგენული პროექტი ყელში ძალიან მალე ამოუვიდა - 13 მატჩი ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა, სოფლის მოედნებზე წინ და უკან სირბილი მობეზრდა და წავიდა...

### ჰაპე კერკელინგი, გრაცერი, 2006 წელი

„გრაცერის“ ხელმძღვანელებმა ავსტრიელ ჟურნალისტებს ვენის დერბის წინა დღეს ამცნეს, ახალ მწვრთნელს ვნიშნავთ და პრესკონფერენციაზე გეპატიჟებითო. კლუბის პრეზიდენტმა **პეტერ სვეტიტსმა** კორესპონდენტებს ისიც უთხრა, ეს იქნება პრეზენტაცია, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათო. პრესკონფერენციაზე სვეტიტსმა ყველასათვის უცნობილი ლიტველი სპეციალისტი, **ალბერტას კლიმავიზისი** წარადგინა.

იმ დროს, როცა „გრაცერის“ იმჟამინდელმა თავკაცმა **კლაუს აუგენტალერმა** ჟურნალისტებთან გამოსამშვიდობებელი სიტყვების წარმოთქმა დაიწყო, კლიმავიზისმა შეგირდებს უხმო და ვარჯიში დაიწყო.

ვერც ფეხბურთელებმა, ვერც ჟურნალისტებმა და ვერც ფანებმა ვერ შენიშნეს, რომ კლიმავიზისი სინამდვილეში გერმანელი კომიკოსი **ჰაპე კერკელინგი** იყო!..

### მეჰმეთ შოლი, კარლსრუე, 1989

მიუხედავად დაუჯერებელი ფიზიკური სისუსტისა, **მეჰმეთ შოლს** კარლსრუეში ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ, მაგრამ ასე არ ფიქრობდა პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვინფრიდ შეფერი**. ეს უკანასკნელი ფეხბურთელს, რომელიც შემდგომში ბრწყინვალე მოთამაშე გახდა, ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა! შოლმა გადაწყვიტა, შეფერისთვის სახლში დაერეკა და მისი საქმეში ნახვა ეთხოვა. ასეც მოიქცა და ვინფრიდმა მეჰმეთი პირველი გუნდის ვარჯიშზე დაპატიჟა. როცა ჟურნალისტებმა შეფერს ჰკითხეს, ეგ ბიჭი ვინ არისო, ვინფრიდმა ასე უპასუხა: *„ეს აჰმედია, დღეს ჩვენთან ერთად ივარჯიშებს.“*

### ბრაიან კლუ, ლიდსი, 1974

ამ კაცმა იცოდა თავისი საქმე! 15 წლის იყო, როცა სკოლა მიატოვა, 27 წლის ასაკში კი საფეხბურთო კარიერაც დაასრულა და 30 წლის იყო, როცა „ჰარტლპულ იუნაიტედის“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს და ლიგის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტი გახდა. თავისი ლეგენდარული სამწვრთნელო კარიერა **კლუმ** სწორედ „ჰარტლპულში“ დაიწყო და ეს გუნდი მეშვიდედან მეოთხე ლიგამდე ალაზევა. მოგვიანებით „დერბი“ ჩაიბარა, 16-წლიანი პაუზის მერე ელიტაში ალაზევა და ინგლისის ჩემპიონობა მოაპოვებინა!

თუმცა კლუმ სახელი პირველ რიგში თავისი და სხვა გუნდების კრიტიკით გაითქვა. 1974 წელს ბრაიანი „ლიდსის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და პრესკონფერენციაზე თავის ახალ შეგირდებს ურჩია, ყველა წარმატება დაევიწყებინათ, თამაშებს აქამდე უსამართლოდ იგებდითო. რა გასაკვირია, რომ ბრაიან კლუ „ლიდსიდან“ ზუსტად 44 დღეში გაათავისუფლეს - 6 მატჩიდან გუნდმა მისი ხელმძღვანელობით მხოლოდ ერთი მოიგო.



ჯოვანი ტრაპატონის პრესკონფერენციები ყოველთვის სახალისო და საინტერესოა

### გიოქჰან ინლერი, ნაპოლი, 2011 წელი

„ნაპოლის“ პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** ორიგინალური და პომპეზური კაცია. ნეაპოლელთა საშინაო მატჩებს უმეტესად ქალაქის მერთან ერთად ესწრება ხოლმე და ამბობს, რომ მისი მიზანი ჩემპიონთა ლიგის თასის ნეაპოლში ჩატანაა. 2011 წელს დე ლაურენტისმა სამხრეთიტალიური გრანდი შვეიცარიელი ფეხბურთელით, **გიოქჰან ინლერით** გააძლიერა და ეს უკანასკნელი ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შვეიცარიელი მოთამაშე გახდა. დე ლაურენტისმა ინლერი პრესას ლომის ნილაბით წარუდგინა...

### ჯოვანი ტრაპატონი, ირლანდიის ნაკრები, 2008 წელი

ტრაპატონის პრესკონფერენციები ყოველთვის განსაკუთრებით საინტერესოა და ამ ფენომენს უდიდესი ისტორია აქვს, აქ კი უკანასკნელს გავიხსენებთ. ტრაპი ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2008 წელს დაინიშნა, პრესკონფერენცია კი ამ სიტყვებით დაიწყო: „ I apologize, my English is not so good. I'm sure in the future I will speak better.“

ვფიქრობთ, ეს განცხადება თარგმანს არ საჭიროებს და არც მომდევნო სიტყვებს ვთარგმნით, რადგან „მულამი“ სწორედ იმაშია, რომ ტრაპატონი იტალიურ-ინგლისურ-გერმანული მიქსით საუბრობდა.

ჯერ თავისი სამშობლოზე ისაუბრა და ჟურნალისტებს „ჩაეხუტა“: „Italien is very, very difficult anf... you collega, the press, no, ni, is normal, I live again with critiche, is very important...“

მერე საკუთარ თავზე ილაპარაკა: „I am sometimes impulsive, I say what I think, but I think also one hundred...“

...და ბოლოს გუნდს ნდობა გამოუცხადა: „I'm in trust!“

### ლოთარ მათეუსი, ნიუ იორკ მეტროსტარზი, 2000 წელი

დაახლოებით ასეთი, მაგრამ შედარებით ნაკლებად სასაცილო იყო **ლოთარ მათეუსის** პრეზენტაცია „ნიუ იორკ მეტროსტარზში“ 2000 წელს. გერმანიის ნაკრების რეკორდსმენმა და ლეგენდამ ამერიკელ ჟურნალისტებს დამტვრეული ინგლისურით უთხრა, გერმანული უკეთესად ვიცი და იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ინგლისურადაც ისე ვისაუბრებ, რომ თქვენი ყველა კითხვა გავიგო და იმასაც ვიმედოვნებ, რომ ჩემპიონები გავხდებითო. ლოთარმა ნიუ იორკში ვერც ინგლისური ისწავლა და ვერც ჩემპიონი გახდა...

### ლუის ვან გაალი, ბაიერნი, 2009 წელი

ლეგენდარულია ჰოლანდიელი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** პრეზენტაცია მიუნხენის „ბაიერნში“, რომელიც 2009 წელს გაიმართა. *„ბავარიული ცხოვრების წესი თბილი პალტოსავით მერგება,“* - ასე დაიწყო ლუისმა ჟურნალისტებთან საუბარი, მერე კი „გაუტია“: *„მე ღმერთივით ვარ! არასდროს ვხდები ავად და ყოველთვის მართალი ვარ; ვარ თავდაჯერებული, ამაყი, დომინანტი, გულახდილი, შრომისმოყვარე, ინოვაციური და რაც მთავარია, ოჯახის კაცი ვარ!“*

გერმანელი ჟურნალისტები ხუმრობდნენ, ძველი აღთქმის მერე ღმერთის ასეთი ზუსტი დეფინიცია არსად წაგვიკითხავს ან მოგვისმენიაო...

### ჟოზე მოურინიო, ჩელსი, 2004 წელი

„დიდი ვან გაალი“ თავის დროზე „ბარსელონაში“ დაპატიჟეს და მწვრთნელად დანიშნეს, სადაც არანაკლები ეგოცენტრიკი, **ჟოზე მოურინიო** გაიცნო. მოუ მაშინ ვან გაალის ასისტენტი და შეფ-ანალიტიკოსი გახლდათ. ალბათ სწორედ ამიტომ ახსენა ჟოზემ 2004 წელს, „ჩელსიში“ დანიშვნისას ღმერთი: *„უბრალო სამსახური რომ მდომოდა, „პორტუში“ დავრჩებოდი - იქ ულამაზესი ლურჯი სკამი მქონდა, მაგიდაზე ჩემპიონთა ლიგის თასი მედო და ხალხისთვის ღმერთის მერე პირველი კაცი ვიყავი!“*

ამას მოჰყვა განცხადება, რომელიც ყველას მინიმუმ მანამდე ეხსომება, სანამ მოურინიო ცოცხალი იქნება: „I am not one of the bottle…and I...yes, I think I am a special one!..“

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### მე დავბრუნდები...

... აცხადებს „ბარსელონას“ ყოფილი პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა**, რომელმაც თანამდებობის დატოვების შემდეგ პოლიტიკაში გადაინაცვლა. თუმცა 50 წლის მენეჯერმა ერთი პირობა დათქვა, ის მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება გრანდს, როცა „ბარსელონა“ დამოუკიდებელი კატალონიის წარმომადგენელი იქნება და არა ესპანეთის. ლაპორტა „ბარსას“ პრეზიდენტი იყო 2003-დან 2010 წლამდე, მისი მოღვაწეობა კლუბის ხელახლა აღზევების წლებზე მოდის და ბუნებრივია, ლაპორტაც კლუბის ისტორიაში ერთ-ერთ წარმატებულ მენეჯერად ითვლება. „ძალიან მინდა „ბარსელონას“ პრეზიდენტი გავხდე დამოუკიდებელ კატალონიაში. ფანებმა ჩემი ზრახვების შესახებ კარგად იციან და მათ ჩემი ესმით“, - უთხრა ლაპორტამ „ნასიო დიჯიტალს“.

### ვინ უნდა გადაუხადოს ოსასუნას 800 ათასი

მას მერე, რაც **ხავი მარტინესი** ბილბაოს „ატლეტიკიდან“ 40 მილიონ ევროდ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა, გერმანულ კლუბს მოულოდნელი „მევალე“ გამოუჩნდა - პამპლონის „ოსასუნა“. ნავარული კლუბი 800 ათას ევროს ითხოვს ამ ტრანსფერიდან, რადგან 24 წლის მარტინესის გაზრდაში მონაწილეობა მიიღო. მარტინესი 2006 წელს გადავიდა „ოსასუნადან“ „ბილბაოში“.

აი, რა განაცხადა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა**: *„ოსასუნამ“ ეს თანხა „ბილბაოს“ უნდა მოსთხოვოს, „ბაიერნს“ ამასთან კავშირი არ აქვს, შესაბამისად, პრეტენზიები ჩვენთან დაუსაბუთებელია“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უცხოური ფეხბურთი

● პასი ამერიკიდან. არგენტინა. ტორნეო ინისიალი. VI ტური

# ლიდერთა შავი ტური

## ინდეპენდიენტეს საქმე კი ცუდად არის



ვიგო მორტენსენმა საყვარელი გუნდის გამარჯვებით გაიხარა

**ტორნეო ინისიალის მე-6 ტური სტუმრებისთვის წარუმატებელი გამოდგა და ვინაიდან ყველა ლიდერი ამ ტურში სტუმრად თამაშობდა, შესაბამისად მათთვისაც. 10 შეხვედრაში მასპინძლებმა 5 მოიგეს და 5 ფრედ დაასრულეს. სტუმართაგან ყველაზე ახლოს მოგებასთან "ტიგრე" იყო, მაგრამ როდოლფო არუაბარენას გუნდმა ბოლო წუთზე გაუშვა გოლი.**

### ბოკამ ვერ მოიგო, მაგრამ ისევ პირველია

**ხულიო სესარ ფალსიონის** გუნდს დერბი ჰქონდა. "ბოკას" მეტოქე **დიეგო არმანდო მარადონას** აღმზრდელი გუნდი, "არხენტინოს ხუნიორსი" იყო. მარადონას სახელობის სტადიონზე გამართული შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა და საბოლოოდ ლოგიკური შედეგიც დაფიქსირდა. ჯერ იყო და **სომოსას** შეცდომით **კაპურომ** ისარგებლა და ანგარიში გახსნა, რამდენიმე წუთში კი სულელური შეცდომა მოუვიდა მასპინძელთა გამოცდილ მცველ **ხუან საბიას** – დამცველმა არა მარტო უაზრო თერთმეტმეტრიანი "აიკიდა", არამედ მხარიც დაიზიანა და თამაშის დატოვება მოუხდა. პენალტი **პაბლო ლედესმამ** დაარტყა და ანგარიშიც გაათანაბრა. 66-ე წუთზე "არხენტინოსი" კაცნაკლული დარჩა - მეტოქისთვის სახეში ხელის ჩარტყმის გამო წითელი ბარათი **დიეგო პლასენტემ** მიიღო. "ბოკა" ბევრს ეცადა, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა და საბოლოოდ მხოლოდ ქულას დასჯერდა.

ლიდერთა ასეთი ცუდი ასპარეზობის შემდეგ, პირველ პოზიციაზე გადასვლის შანსი "ნიუელს ოლდ ბოიზს" გაუჩნდა, მაგრამ **ხერარდო მარტინოს** გუნდს ძალიან რთული გასვლა ჰქონდა, მათი მეტოქე ხომ "რივერი" იყო. ეს რომ ჩემპიონატის უკანასკნელი ტური ყოფილიყო, მასპინძლები "ნიუელსს" სამ ქულას უპრობლემოდ გაატანდნენ, მაგრამ ვინაიდან სეზონი სულ ახლახან დაიწყო, "რივერმა" იბრძოლა და საბოლოოდ "ბოკასთვის" სასიკეთო საქმე გააკეთა.

ამ მატჩში პრიმერაში პირველი გოლი გაიტანა **დავიდ ტრეზეგემ**, თან გოლიც ულამაზესი გამოვიდა – საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ბურთს ნახტომში მიწვდა და **ნაუელ გუსმანს** აუღებელი დაურტყა. თუმცა იქამდე იყო **პაბლო პერესის** გოლი, რომლის წყალობითაც "ნიუელსი" დაწინაურდა. ტრეზეგეს გამთანაბრებელი გოლიდან, ზუსტად 3 წუთში კი "რივერი" უკვე იგებდა. **მორამ** მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდება გადაწყვიტა, მაგრამ ბურთი კარისკენ წავიდა. გუსმანი, რატომღაც პენალტის ნიშნულისკენ დაიძრა და შესაბამისად, როდესაც მიხვდა, რომ ბურთი კარში მიდიოდა, უკვე გვიანი იყო. მეორე ტაიმში **როხელიო ფუნეს მორიმ** სეზონში მე-3 გოლი გაიტანა და რივერი უკვე 3:1-ს იგებდა.

ტყუპისცალის გოლის შემდეგ, ქომაგებმა საკუთარი გუნდის წარმატების ირწმუნეს, მაგრამ მათ ცივი შხაპი **კარლოს სანჩესმა**, მასპინძელთა ურუგვაელმა ლეგიონერმა, გადაასხა. შეხვედრის 70-ე წუთზე სანჩესმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, არადა მასთან ახლოსაც კი არავინ იყო. პენალტი **სკოკომ** გაიტანა, რომელმაც ზუსტად 3 წუთში, ულამაზესი დარტყმით დუბლიც გაიფორმა და ასე გახდა ანგარიში 3:3. მიუხედავად იმისა, რომ **როხელიომ** მატჩის ბოლო წამებზე საოცარი მომენტი გაუშვა, არანაკლები შანსი სტუმრებსაც ჰქონდათ. საფინალო სასტვენის შემდეგ, როგორც **მატიას ალმეიდა**, ასევე ხერარდო მარტინო უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ ვფიქრობთ ფრე ამ შევედრაში ყველაზე სამართლიანი შედეგი იყო.

მატჩის შემდეგ, შეხვედრის გმირმა სკოკომ შემდეგი რამ განაცხადა: *"ჩვენ მოგება გვსურდა, მაგრამ ეს არ გამოგვივიდა. საბოლოო ჯამში ქულითაც კმაყოფილები ვართ, რადგან ორბურთიანი სხვაობით ვაგებდით, თანაც, ვფიქრობ, რომ ეს "რივერის" საუკეთესო თამაში იყო ამ სეზონში".*

### ინდეპენდიენტე შავ დღეშია

"ინდეპენდიენტემ" კვლავ ვერ მოიგო. ახლა ეს გუნდი "ტორნეო ინისიალში" ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა, ხოლო 3-წლიან გასავარდნ ცხრილში, ბოლო, მე-20 ადგილს იკავებს. აველიანედელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ: **ამერიკო გალიეგო** ძალიან ძლიერი და გამოცდილი სპეციალისტია, მაგრამ ჯერჯერობით, ლიბერტადორესის თასის 7-გზის (რეკორდი) მფლობელს ისიც ვერ შველის.

მიუხედავად ძალიან კარგი მწვრთნელისა და ასევე კარგი შემადგენლობისა, "ინდეპენდიენტემ" ამჯერად "კილმესს" ვერ მოუგო. გოლი მასპინძელთა მხრიდან **ერნესტო ფარიასმა** გაიტანა, ვისთვისაც ეს პირველი გოლი იყო ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ არგენტინაში სულ ორი გუნდია ისეთი, რომელსაც არასდროს დაუტოვებია უმაღლესი დივიზიონი: "ბოკა ხუნიორსი" და "ინდეპენდიენტე". თუ ასე გააგრძელა, დიდი ხუთეულის ერთ-ერთი წევრი აუცილებლად დაქვეითდება.

აქვე შემოგთავაზებთ 3-წლიანი გასავარდნი ცხრილის ქვედა ნაწილს

| გუნდი | ქ | თ | საშ |
|---|---|---|---|
| 15. ატლ. რაფაელა | 56 | 44 | 1.273 |
| 16. ნიუელსი | 102 | 82 | 1.244 |
| 17. სან ლორენსო | 100 | 82 | 1.22 |
| 18. უნიონი | 51 | 44 | 1.159 |
| 19. სან მარტინი | 51 | 44 | 1.159 |
| 20. ინდეპენდიენტე | 93 | 82 | 1.134 |



დავიდ ტრეზეგემ პრიმერა დივიზიონში პირველი გოლი გაიტანა

### არსენალის პირველი მარცხი

ამ ტურამდე, დაუმარცხებელი ოთხი გუნდი იყო. ახლა მხოლოდ ერთია, ისიც ძლივს გადაურჩა წაგებას. მოქმედი ჩემპიონი, სარანდის "არსენალი" სან ხუანს ეწვია და აუტსაიდერ "სან მარტინთან" განადგურდა. მასპინძლებს ქულა არ ჰქონდათ მოპოვებული, ხოლო სტუმრებს, როგორც უკვე ვთქვით, ერთი მატჩიც კი არ ჰქონდათ წაგებული. მე-16 წუთზე სან ხუანელები **ემანუელ მასმა** დააწინაურა, თუმცა ამ შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი 29-ე წუთზე დადგა, როდესაც არბიტრმა მეორე ყვითელი ბარათი **ლისანდრო ლოპესს** უჩვენა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გარეშე დარჩენილმა "მეთოფეებმა" მეტოქეს წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს და საბოლოოდ 0:4 წააგეს. "სან მარტინის" რიგებში **გასტონ კაპრარის** არ უთამაშია, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, რომელმაც წინა ტურში, "რასინგთან" შეხვედრაში პენალტი ვერ გამოიყენა. თითქოს არაფერი, ვის არ მოსვლია, მაგრამ კაპრარიმ პენალტი "რასინგის" კაპიტანს და საყრდენ ნახევარმცველს **აგუსტინ პელეტიერის** ვერ გაუტანა, რომელიც კარში მეკარის გაძევების გამო ჩადგა და ფორვარდის დარტყმული შესანიშნავ ნახტომში მოიგერია.

"რასინგმაც" პირველი მარცხი განიცადა. **ლუის სუბელდიამ**, წინა ტურის გმირი **ლუსიანო ვიეტო** ძირითადში არ დააყენა, რადგან დისკვალიფიკაციის შემდეგ **გაბრიელ აუჩე** დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ "ბელგრანო" 65-ე წუთზე მოედანზე 9 კაცით დარჩა (გააძევეს **საპატა 60** და **ბარიოსი 65**), მასპინძლებმა მაინც შეინარჩუნეს ერთბურთიანი უპირატესობა და მეორე მატჩი მოიგეს (პირველი თამაში "ბელგრანომ" "რივერთან" მოიგო საწყის ტურში).

**რობერტო ნესტორ სენსინის** და **გაბრიელ ბატისტუტას** "კოლონი" კი "სან ლორენსოსთან" დამარცხდა, რომელსაც ქულები ჰაერივით ესაჭიროება. ამ მომენტისთვის, მიუხედავად მოგებისა, "სან ლორენსო" გასავარდნ ცხრილში მე-17 ადგილს იკავებს და ძალიან მცირედით უსწრებს სახიფათო ზონაში მყოფ "უნიონს", "სან მარტინს" და "ინდეპენდიენტეს", რომელიც უკანასკნელ პოზიციაზეა და გავარდნის პირველი კანდიდატია. საინტერესოა, რომ "სან ლორენსოს" მხრიდან მეორე გოლი **დენის სტრაკვალურსიმ** გაიტანა, რომლისთვისაც ეს არგენტინაში დაბრუნების შემდეგ პირველი გოლია. ბუენოსაირესელთა გამარჯვებით უზომოდ გაიხარა მათმა ყველაზე ცნობილმა ქომაგმა, ჰოლივუდის ვარსკვლავმა **ვიგო მორტენსენმა**, რომელსაც კლუბის ოფიციალურ საიტზე საკუთარი სვეტიც აქვს.

**სან მარტინი–არსენალი 4:0**

**გოლები:** 1:0 მასი (16), 2:0 ბოგადო (31-პენ), 3:0 ოსორიო ბოტელიო (48), 4:0 ხ. ლუნა (75-პენ)

**ატლ. რაფაელა–ოლ ბოისი 2:1**

**გოლები:** 1:0 ელუჩანსი (10), 2:0 გრაცინი (28), 2:1 მ. მატოსი (84).

**სან ლორენსო–კოლონი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბუფარინი (27), 2:0 სტრაკვალურსი (65), 2:1 ალკობა (89).

**არხენტინოსი–ბოკა ხუნიორსი 1:1**

**გოლები:** 1:0 კაპურო (27), 1:1 პ. ლედესმა (34-პენ).

**ინდეპენდიენტე–კილმესი 1:1**

**გოლები:** 0:1 მანსილია (36), 1:1 ფარიასი (52).

**ბელგრანო–რასინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 კარანსა (45).

**რივერ პლეიტი–ნიუელსი 3:3**

**გოლები:** 0:1 პ. პერესი (12), 1:1 ტრეზეგე (20), 2:1 მორა (23), 3:1 როხელიო ფუნეს მორი (67), 3:2 სკოკო (70-პენ.), 3:3 სკოკო (73).

**უნიონი–ტიგრე 1:1**

**გოლები:** 0:1 ფტაკლა (24), 1:1 გალვანი (90).

**ლანუსი–გოდოი კრუსი 2:0**

**გოლები:** 1:0 მ. პერეირა (5), 2:0 გოლტცი (54).

**ესტუდიანტესი–ველეს სარსფ. 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა ხუნიორსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 13 |
| 2. ნიუელსი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-3 | 12 |
| 3. რასინგი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-4 | 11 |
| 4. ველესი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-3 | 11 |
| 5. კოლონი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 6. არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 6-6 | 11 |
| 7. გოდოი კრუსი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 10 |
| 8. კილმესი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| 9. რივერ პლეიტი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| 10. ბელგრანო | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 11. სან ლორენსო | 6 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 9 |
| 12. არ. ხუნიორსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-9 | 8 |
| 13. ლანუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-4 | 7 |
| 14. ესტუდიანტესი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 15. ოლ ბოისი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-10 | 6 |
| 16. ატლეტ. რაფ. | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 17. ტიგრე | 6 | 0 | 3 | 3 | 7-11 | 3 |
| 18. სან მარტინი | 6 | 1 | 0 | 5 | 6-11 | 3 |
| 19. ინდეპენდიენ. | 6 | 0 | 3 | 3 | 2-7 | 3 |
| 20. უნიონი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - ბორგელიო (ოლ ბოისი), სკოკო (ნიუელსი); 3 – კაუტერუკიო (კილმესი), დ. რამირესი (გოდოი კრუსი), ვიატრი (ბოკა ხუნიორსი), კარანსა (ბელგრანო), ფტაკლა (ტიგრე), როხელიო ფუნეს მორი (რივერ პლეიტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ბრიატორე ინგლისურ ფეხბურთში ბრუნდება

"ქუინზ პარკ რეინჯერსის" ყოფილ მფლობელ, **ფლავიო ბრიატორეს** ფეხბურთში დაბრუნება აქვს განზრახული. 62 წლის იტალიელს "ბირმინგემ სიტის" თანამფლობელობა სურს. გუნდის ამჟამინდელ მფლობელ **კარსონ იანგს** დამატებითი ინვესტიციის მოზიდვა აქვს განზრახული და ბრიატორეს წინადადებამ სულზე მოუსწრო. ჰონგკონგელმა ბიზნესმენმა "ბირმინგემი" 2009 წელს, 80 მილიონ ფუნტად შეიძინა, მაგრამ ზუსტად ორ წელიწადში ის სამშობლოში ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავეს და ახლა სასამართლო პროცესი ელის.

ბრიატორემ, რომელიც ფორმულა 1-ში "ბენეტონსა" და "რენოში" მუშაობდა, "ქუინზ პარკ რეინჯერსი" მას შემდეგ დატოვა, რაც ეს გუნდი **ტონი ფერნანდესმა** შეიძინა.

### კემპბელი "ბლექპულში" ბრუნდება

**დადლი,** იგივე **დი-ჯეი კემპბელი,** ყოფილ გუნდ "ბლექპულს" უბრუნდება. წინა სეზონის დაწყებამდე კემპბელი სწორედ ამ გუნდიდან გადავიდა "ქუინზ პაკრში", მაგრამ ტრავმების გამო, თავის გამოჩენა ვერ მოახერხა და ძირითადში მხოლოდ ორი შეხვედრა დაიწყო. ფორვარდი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო "მანდარინების" შემადგენლობაში და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის პრემიერლიგაში ალზევებაში. "ბლექპულის" ისტორიაში პირველ პრემიერლიგურ სეზონში კი, კემპბელმა 13 გოლი გაიტანა, მაგრამ ვერ იხსნა საკუთარი კლუბი დაქვეითებისგან. ახლა 30 წლის თავდამსხმელი უბრუნდება "ბლექპულს", სადაც ის სეზონის ბოლომდე იქნება განათხოვრებული. **იან ჰოლოვეი** ამ ტრანსფერით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ ახალწვეულს "ბარნსლის" წინააღმდეგ, უკვე ამ შაბათს ათამაშებს.

### სუონსიმ ტინდალი შეიძინა

უელსურმა კლუბმა ჰოლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, **დუაიტ ტინდალი** შეიძინა. "ტვენტეს" ყოფილი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი იყო და მან **მიქაელ ლაუდრუპის** გუნდში, **ნილ ტეილორი** უნდა შეცვალოს, რომელმაც "სანდერლენდთან" შეხვედრაში უმძიმესი ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე გამოვიდა მწყობრიდან.

26 წლის ტინდალმა კარიერა ამსტერდამის "აიაქსში" დაიწყო, საიდანაც 2004 წელს "უტრეხტში" გადავიდა, ხოლო 2006 წელს "ფეიენოორდის" წევრი გახდა. ენსხედეს "ტვენტეში" ჰოლანდიელი 2009 წლიდან თამაშობდა, წინა სეზონის დასრულების შემდეგ კი ის თავისუფალი აგენტი გახდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო ფეხბურთი


დინამო

# დინამო: 46 122 ევრო ზესტაფონი: 79 665 ევრო

**ევროპის კლუბთა ასოციაცია – ის ორგანიზაციაა, რომელიც G-14-ის ბაზაზე შეიქმნა და რომელსაც კარლ-ჰაინც რუმენიგე თავკაცობს.**

ამ ორგანიზაციის მუშაობით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა: გაიზარდა უეფას სოლიდარობის თანხა იმ კლუბებისთვის, რომლებიც ვერ ხვდებიან ჩემპიონთა ლიგის და ევროპალიგის ფინალურ ეტაპზე. ამ ორგანიზაციის დამსახურებაა, კლუბებიდან ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს ფიფა და უეფა რომ აზღვევს, ამ ორგანიზაციამ იმდენი ქნა, რომ ფიფა და უეფა კლუბებს იმისთვისაც უხდიან ფულს, რომ მათი ფეხბურთელები ფიფას და უეფას სანაკრებო ტურნირებში თამაშობენ.

თუ ფეხბურთელი ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, შესაბამისად უეფა და ფიფა კლუბს სოლიდურ თანხას უხდის იმის მიხედვით, თუ რამდენ მატჩს ითამაშებს ეს ფეხბურთელი ნაკრებში.

რაც ეს წესი შემოვიდა, ქართული კლუბებიდან ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არავის უთამაშია, ევროპის 2012 წლის შესარჩევში კი "დინამო თბილისმა" და "ზესტაფონმა" მიაწოდეს ფეხბურთელები საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და უეფამაც გამოთვალა, თუ რა თანხა გადაურიცხოს ამ კლუბებს: "დინამოს" 46 122 ევრო შეხვდება, "ზესტაფონს" კი - 79 665.

ამ ქართული კლუბებისთვის ეს თანხა შესაძლოა ბევრს არ ნიშნავდეს, ოღონდაც ფაქტია, რომ ევროპის კლუბთა ასოციაციის მიზანმიმართული მუშაობით ჩვენს კლუბებსაც გაუჩნდათ შემოსავლის დამატებითი წყარო.

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი



ვიტ ჯორჯია

# ვეტერინარებმა სტუდენტებს სძლიეს

სანაკრებო პაუზა სხვების მსგავსად, "ვიტ ჯორჯიამაც" გამოიყენა და პირველლიგელ სტუ-ს ამხანაგურად გაეჯიბრა. მატჩი ვეტერინარებმა 4:0 მოიგეს. ოთხივე გოლი პირველივე ტაიმში გავიდა. **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდიდან თავი **გიორგი ვასაძემ** და **გურამ გურეშიძემ** გამოიჩინეს, **ბესიკ ჩიმაკაძემ** კი დუბლი შეასრულა.

"ვიტ ჯორჯიამ" პირველ ტაიმში ამ შემადგენლობით ითამაშა: **დაუშვილი - ხურცილავა, გოგიაშვილი, გეთიაშვილი, ჯავაშვილი - ვასაძე, კასრაძე - კორიფაძე, გურეშიძე, ლანიაშვილი – ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმი: **რეჭია - კალანდია, ადამაძე, ტეტუნაშვილი, ლანიაშვილი - დავლაშელიძე, ღიბრაძე, ჯუღელი, ზაქრაძე - გაბრიჭიძე (75. კუხალეიშვილი), ლობჯანიძე (79. ჯოლოხავა).**

15 სექტემბერს "ვიტ ჯორჯია" ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურში "ზუგდიდს" უმასპინძლებს. ოთხი ტურის შემდეგ ვეტერინარებს 4 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მეცხრე ადგილზე არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიონი

# საქართველო–ესპანეთზე კლუბის თანადგომით

საქართველო-ესპანეთის მატჩს ბოლნისიდან ჩამოსული ქომაგები მრავლად დაესწრნენ. "სიონის" ყველაზე ერთგულ 200 გულშემატკივარს თამაშის ბილეთები კლუბის ხელმძღვანელობამ შეუძინა, რის ორგანიზებაშიც მონაწილეობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც მიიღო.

"სიონი" საკუთარი გულშემატკივრების მსგავსი სახით წახალისებას მომავალშიც გეგმავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დილა

# თოთაძე გორში დაბრუნდა

## ხოჯავამ და ბარაბაძემ ვარჯიში განაახლეს

მოგეხსენებათ, რომ გორის "დილას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – **გიორგი დარასელია.** მისი დანიშვნა ფეხბურთელების მომჯობინებას დაემთხვა: "დილას" პრესატაშე **ზურაბ კარტოზიას** თქმით, რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი უკვე ინდივიდუალურად ვარჯიშობს: **არზიანის** ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და ვარჯიშობს, ისევე როგორც **ალადაშვილი, მოდებაძე** და **სალუქვაძე.**

სასიხარულოა, რომ ოპერაციის შემდეგ გუნდს დაუბრუნდნენ პლეიმეიკერი **გოჩა ხოჯავა** და თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე.**

ადრეც ვწერდით, გორის "დილას" ბევრი ხანმოკლე პროექტად მიიჩნევდა, მაგრამ შესაძლოა, ეს მხოლოდ პესიმისტური ვარაუდია. ამის იმედს კლუბში **ლაშა თოთაძის** დაბრუნება გვაძლევს.

22 წლის მარცხენა მცველი "დილაში" გასული სეზონის მეორე ნახევარშიც თამაშობდა. მაგრამ მისი სატრანსფერო უფლებები უნგრულ "დიორი ეტოს" ეკუთვნოდა, რომელმაც სეზონის დასრულების შემდეგ იჯარის გახანგრძლივებაში საკმაოდ სერიოზული თანხა მოითხოვა.

ლაშა "დიორ ეტოს" ზაფხულში დაუბრუნდა და მოსამზადებელ ეტაპზე ყველა საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა - მთავარმა მწვრთნელმა **ატილა პინტერმა** 22 წლის ქართველი ძირითად შემადგენლობაში 8-ჯერ ათამაშა.


ლაშა თოთაძე

თუმცა, მაშინ "ლელო" წერდა, რომ თოთაძის უნგრეთში დარჩენა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო, რადგან ისრაელისა და კვიპროსის კლუბებში იწვევდნენ. ისრაელში მისი გადაყვანა სწორედ დარასელიას სურდა, რომელმაც "დილა" ჩაიბარა.

გორელთა პრესსამსახურის ცნობით, თოთაძეს „დიორი ეტოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. თუმცა, მანამდე ცნობილი იყო, რომ უნგრული კლუბი ქართველის ტრანსფერზე უფლებას 2013 წლის ზაფხულამდე ფლობდა.

შეგახსენებთ, რომ "დიორი ეტო" ზაფხულში **გიორგი განუგრავამაც** დატოვა და ამგვარად, კლუბს, სადაც სამი წლის წინ 7 ქართველი თამაშობდა, ჩვენებურთაგან ახლა მხოლოდ **რატი ალექსიძე** შემორჩა.

გორის "დილა" ჩემპიონატის განახლებისთვის საგურამოში, თბილისის "ლოკომოტივის" ბაზაზე ემზადება. ამასობაში გიორგი დარასელიამ გუნდი უკვე ორჯერ ავარჯიშა: პირველად კი 9 სექტემბერს შეხვდა ფეხბურთელებს, გაეცნო და სამომავლო გეგმებზე ელაპარაკა.

სავარაუდოდ, გორის "დილას" ხელმძღვანელობა მედიას დღეს შეხვდება და ახალ მთავარ მწვრთნელს წარუდგენს. კლუბში ამბობენ, რომ პრესკონფერენციამდე ახალგაზრდა სპეციალისტი ინტერვიუს არ იძლევა.

და კიდევ ის, რაზეც ერთი კვირის წინ მხოლოდ ვარაუდით გვეუბნებოდნენ: საბოლოოდ გადაწყდა, რომ გორის "დილა" საკუთარ არენას 15 სექტემბერს დაუბრუნდება. "თენგიზ ბურჯანაძის" განახლებული სტადიონი ეროვნულ ჩემპიონატში "დილასა" და თბილისის "დინამოსთან" მატჩით გაიხსნება.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# ტორპედომ პაუზა სპარინგებით გამოიყენა

ქუთაისის "ტორპედოს" პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, სალორიაში, გუნდის საწვრთნელ ბაზაზე ბუნებრივსაფრიანი მოედნის განახლება დაასრულეს და უკვე რამდენიმე დღეა, რაც **გია გეგუჩაძის** გაწვრთნილები იქ ემზადებიან. დღესდღეობით, ასეთი ფუფუნება ბევრ გუნდს არ გააჩნია და ფაქტი ამიტომ არის აღსანიშნავი.

ქუთაისელებმა სანაკრებო პაუზა კარგად გამოიყენეს და ორი საკონტროლო მატჩი გამართეს. 8 სექტემბერს "ტორპედომ" ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს, საჩხერის „ჩიხურას" სწორედ ხსენებულ ბაზაზე უმასპინძლა, 11 სექტემბერს კი - ფოთის „კოლხეთს".

გუნდების შეთანხმებით, პირველი შეხვედრა სამი ორმოცწუთიანი ტაიმისგან შედგებოდა, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანი იმით იყო, რომ მწვრთნელებს ბევრი ფეხბურთელის გამოცდა შეეძლოთ.

პირველი ტაიმი უგოლოდ (0:0) დასრულდა. 50-ე წუთზე კი სტუმრებმა ანგარიში გახსნეს - **დავით ოდიკაძემ** 30 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

ანგარიშის გასათანაბრებლად ტორპედოელებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ. 55-ე წუთზე **ვალერი ბოლქვაძის** კარგი გადაცემის შემდეგ **გიორგი ფანცულაიამ** ლამაზი გოლი გაიტანა, მე-60 წუთზე კი **გივი იოსელიანის** პასის შემდეგ მასპინძლები **მერაბ გიგაურმა** დააწინაურა - 2:1.

საბოლოო ანგარიში მესამე ტაიმში **გაგა ჩხეტიანმა** დააფიქსირა - კართან ახლოს მყოფმა თავდამსხმელმა შესაძლებლობით ისარგებლა და შეხვედრა 2:2 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ "ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ამ საკონტროლო მატჩში 25 ფეხბურთელი (?!) ათამაშა.

გუშინ ქუთაისის "ტორპედო" "კოლხეთს" შეხვდა და ფრედ, 1:1 ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**



ღია სახალისო ფეხბურთი

# დინამო არენა სახალისო ფეხბურთს უმასპინძლებს

თბილისის "დინამოს" დიღმის ბაზა ორი დღე ღია სახალისო ფეხბურთის სკოლას მასპინძლობდა, რომლის დასკვნითი ნაწილიც 14 სექტემბერს თბილისის "დინამო არენაზეა" დაგეგმილი.

15 წლის წინათ ამოქმედებული ეს პროგრამა ნაომარ ქვეყნებში მშვიდობის ხელშეწყობას ფეხბურთის გზით ითვალისწინებს. მას სათავე დანიელმა **ანდერს ლევინსენმა** დაუდო და დანიის, შვედეთის, ნორვეგიის მთავრობებთან ერთად უეფამაც დააფინანსა.

პირველი ნაბიჯები ბალკანეთის ქვეყნებში გადაიდგა, შედეგმა კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა - საფეხბურთო მოედნებზე ერთმანეთთან ნაომარი სერბების, ხორვატების, ბოსნიელებისა და მაკედონიელების ნორჩი თაობები დამეგობრდნენ და ტურნირიც მეგობრულ ატმოსფეროში ტარდებოდა.

ლევინსენმა მალე კავკასიისკენ გამოიხედა. ქართულ სპორტულ წრეებში საკმაოდ კარგად ცნობილმა **თამაზ თევზაძემ** ლევინსენი საქართველოში დაპატიჟა. უეფას ოფიცერმა და ჩვენმა კოლეგამ, დანიის დიდმა თაყვანისმცემელმა **მამუკა კვარაცხელიამ** ლევინსენი შინ მიიპატიჟა და სტუმარს ყოფილი კლუბის მაისური აჩვენა, სადაც 15 წელი თამაშობდა.

ამან ლევინსენზე ისე იმოქმედა, სამშობლოში დაბრუნებულმა უეფას მისწერა – ძალიან ვცდებოდი, როდესაც ვფიქრობდი, სამყაროს დასალიერში მივდიოდი...

ლევინსენის ეს სტატია უეფას ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფინალის პროგრამაში გამოქვეყნდა....საქართველოში პროექტს სათავეში **ვალერი ჩოლარია** ჩაუდგა და 2003 წლიდან ქართველების უშუალო მონაწილეობით, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ბავშვებმა ბურთი კვლავ ერთად გააგორეს. მეტიც, პროგრამის ფარგლებში, რომელშიც საქართველო ნამყვან ქვეყნად ითვლებოდა, ომისგან დაშორებულმა ბევრმა სომეხმა და აზერბაიჯანელმა მწვრთნელმა ერთმანეთი ისევ ნახა და საქართველოში ბევრი თბილად გასახსენებელი დღე გაატარეს.

ცხადია, ეს პროგრამა მხოლოდ სხვებისთვის არ ტარდებოდა, ჩვენთვისაც სასარგებლო იყო: პროგრამის ფარგლებში ყოველ წელს მარტო საქართველოს საჩუქრად 2 500 საფეხბურთო ბურთს გადასცემდნენ, როცა ბურთების ეს რაოდენობა ერთად აღებულ ყველა სკოლას არ ჰქონდა. აღარაფერს ვამბობთ 1 500 ქართველი მწვრთნელის უფასო მომზადებასა და შემოსვაზე.

**მერაბ მამულაშვილი**

# შეფიცულები

11.09. თბილისი. დინამო არენა
60 000 მაყურებელი

საქართველო 0
ესპანეთი 1

0:1 სოლდადო (86, ფაბრეგასის პასით)

| საქართველო 4-5-1 | ესპანეთი 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | კასილიასი |
| ლობჟანიძე | არბელოა |
| ხიზანიშვილი | რამოსი |
| ამისულაშვილი | პიკე |
| კვირკველია | ალბა |
| თარგამაძე | ბუსკეტსი |
| დაუშვილი | ალონსო |
| კაშია | სილვა |
| კანკავა | ჩავი |
| ოქრიაშვილი | ინიესტა |
| მჭედლიძე | სოლდადო |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. ქეცბაია | ვ. დელ ბოსკე |

**საქართველო**

63. თარგამაძე – **ძალამიძე**
72. ლორია – **კვასხვაძე**
78. მჭედლიძე – **სირბილაძე**
*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ხუბუტია, რეხვიაშვილი, ფოფხაძე, მაისურაძე, გურული, გრიგალავა, გორგიაშვილი, ანანიძე*

**ესპანეთი**

57. ბუსკეტსი – **პედრო**
64. სილვა – **კასორლა**
79. არბელოა – **ფაბრეგასი**
*სათადარიგოები: ვალდესი, რეინა, ალბიოლი, მონრეალი, ხუან ფრანი, ვილია, ტორესი, ბ. ეჩებერია, ნავასი*
არბიტრი: ს. მოენი (ნორვეგია)



გოლი საქართველოს ნაკრების კარში — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრებმა დაგვანახა ის, რითაც ფასობს ფეხბურთი - მოულოდნელობის ფაქტორი. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებს ასე გაუჭირდებოდა ჩვენი ეროვნული გუნდის დამარცხება.

ამ ყველაფერს კი შეძლება უნდა. **ალექსანდრე ამისულაშვილის** დარტყმა ძელის მაგივრად ბადეს რომ მისწვდომოდა, ესპანეთი თამაშის შემობრუნებელი ან იქნებოდა და ან არა. კი ბატონო, ეს უკვე მარჩიელობა, მაგრამ ესპანელებიც ადამიანები არიან და მათაც აქვთ ნერვები - გამალებით რომ უტრიალებ მეტოქის კარს და ბურთს ვერსად რომ ვერ აძვრენ, ამის მონელება არცთუ იოლია.

**თემურ ქეცბაიას** გუნდი თავს კარგად იცავდა. საქართველო ყრუ დაცვაში იჯდა და ესპანეთის ნაკრებთან ეს არ არის სამარცხვინო. ჩვენს ფეხბურთელებს სხვა გზა არც ჰქონდათ.

მეკარე იქნებოდა თუ მცველი, გრძელი პასი უნდა შეესრულებინა **ლევან მჭედლიძის** ან **თორნიკე ოქრიაშვილის** მისამართით - ეს იყო საქართველოს ნაკრების სტრატეგია შეტევაში, უმეტესად ასე ვითარდებოდა ჩვენი გუნდის მოქმედება მეტოქის კარისკენ. თუმცა იყო ერთი-ორი სხვანაირი იერიშიც.

პირველი ოვაციები ტრიბუნებს მაშინ მოსწყდა, როცა **გიორგი ლორიამ** ბურთი აუტზე გადააგდო. კარგად გამოჩნდა, რომ გულშემატკივარი თავიდანვე შეგუებული იყო ჩვენი ნაკრების ზედმიწევნით დაცვაზე ორიენტირებულ თამაშს.

ზურაბ ხიზანიშვილმა კარგად წაიკითხა **ანდრეს ინიესტას** სვლა და ესპანელთა ერთ-ერთი მწვავე იერიშიც ჩაშალა, **ჩავი ერნანდესის** კუთხურს **სერხიო რამოსმა** დაუხვედრა თავი და გიორგი ლორიამ ბურთი ხელებში გააქვავა, თორნიკე ოქრიაშვილმა ორ მონინაღმდეგესთან ბრძოლაში იმარჯვა და ბურთიანად რამდენიმე მეტრიირბინა - საქართველოს ნკრებმა თითქოს ძალა ირწმუნა, ესპანეთს და გადაჭედილ სტადიონს აჩვენა, რომ აზრიანად, უნარიანად ბრძოლა შეუძლია.

ქეცბაიამ 7 სექტემბერს ბელარუსთან მატჩის შემადგენლობა შეცვალა. მარჯვენა ფლანგზე **გურამ კაშიას** ნაცვლად **უჩა ლობჟანიძე** გაამწეს, კაშია კი საყრდენ ნახევარმცველად გაამწესა. დაცვის მარცხენა ფლანგი კი **გია გრიგალავას** ნაცვლად **დავით კვირკველიას** ჩააბარა. საქართველოს აკლდა გრიპმოხდილი **ჯანო ანანიძეც**.

საქართველოს ნაკრებისთვის ეს მატჩი ომი უფრო იყო, ვიდრე სხვა რამე.



დავიდ სილვამ პირველ ტაიმში ბურთი ძელს გაარტყა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პირველ ტაიმში ჩვენი გუნდი თერთმეტი შეფიცულივით იდგა და ესპანეთმა ძვრა ვერ უყო.

**დავიდ სილვას** დარტყმა ძელმა აისხლიტა, ჩავის დარტყმა ცხრიანიდან ჩამოხსნა ლორიამ, **რობერტო სოლდადო** ლორიასთან პირისპირ დარჩა და ჩვენს მეკარეს ვერ აჯობა...ჩვენებმა ესპანელთა შემოტევებს ვაჟკაცურად გაუძლეს.

**ლორია! ლორია!** ტრიბუნებმა ჩვენი მეკარე გააკერპეს. გიორგი მართლაც ძალიან თავდაჯერებულად, ლაღად და ოსტატურად თამაშობდა.

წინ მეორე ტაიმი იყო და კითხვა, თუ სადამდე გავუძლებთ ეპანელთა შემოტევებს.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებს არაფრის შეცვლა არ შეეძლო, თუმცა იყო იმედი, რომ ესპანეთი დაცვაში შეცდომას დაუშვებდა და იქნებ ეს საჩვენოდ გამოგვეყენებინა.

საქართველოს ნაკრებს ოდითგანვე ახასიათებდა თამაშის ფეთქებადი სტილი, რაც მას აქამდეც აქვს შემორჩენილი. ჩვენმა გუნდმა ეს ესპანეთთან მოახერხა. დავით თარგამაძე კარგად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, კარის გასწვრივაც საკმაოდ სახიფათოდ ჩააწოდა და სერხიო რამოსმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ოქრიაშვილი ერთხელაც გამოირჩა ინდივიდუალური თამაშით, მარცხენა ფლანგზე გაატრია ბურთი და ჯარიმაც მოიპოვა, რითაც თავის გუნდი ამოასუნთქა მოწინაალმდეგის წნეხური შეტევებისგან.

და ნანატრი აფეთქებაც: ესპანელთა იერიში მათივე ნახევარზე ალღოიანად ჩაშალა ხიზანიშვილმა, საქართველომ მხნედ შეუტია, სტუმართა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბურთი ალექსანდრე ამისულაშვილს ისე მიუვიდა, რომ საყვარელ ცაციაზე კარგად მოაჯდა და... ძელი! საქართველომ ესპანეთთან ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გაანიავა.

**კასორლა, პედრო, ფაბრეგასი, ...ვისენტე დელ ბოსკე** იძულებული გახდა, შეტევა გაეძლიერებინა, დრო გადიოდა, ესპანეთი გამალებით უტევდა, თუმცა საგოლე მომენტებს ველარ ქმნიდა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს საქართველოს ნაკრებთან გაუჭირდა.

მოედანი და ტაბლო, ქომაგი უკვე ზევით-ქვევით იყურებოდა.

ამასობაში ლორია ისე დაშავდა, შესაცვლელი გახდა. მისი ადგილი **როინ კვასხვაძემ** დაიკავა, ის თავდაჯერებულად გავიდა მოედანზე, გულმაც რეჩხი აიცილა, - კვსხვაძეს შიშის ნატამალიც არ ეტყობოდა.

საქართველომ კიდევ რამდენიმე წუთი გაძლო, შეხვედრის დასასრული ახლოვდებოდა, მაგრამ არა, ესპანეთმა მაინც გაგვტეხა - ჩვენი დაცვითი ზღუდე მოირღვა და სოლდადომაც აუღებელი დაურტყა კვასხვაძეს.

დრო ცოტალა იყო დარჩენილი და საქართველომაც მოასწრო მორიგი გაბრძოლება: შეცვლაზე შესული **ირაკლი სირბილაძე** არცთუ ურიგო პოზიციიდან ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას, თუმცა მის დარტყმას მცველი გადაეფარა.

საქართველოს ნაკრებს ძალიან აკლია ისეთი ფეხბურთელები, ბრძოლის გარდა თამაშიც რომ კარგად გამოსდით. ძლიერ მეტოქესთან შეხვედრა ხელის გულზე დადებულივით გვაჩვენებს, ვინ რისი მაქნისია. ბურთის ამოტანა და გაგორება მცველსაც უნდა შეეძლოს და საყრდენ ნახევარმცველსაც, ასეთი კი ჩვენს ნაკრებში ძალიან ცოტაა. შესაძლოა, უკეთესი სელექციის პირობებში საქართველოს ნაკრების თამაში შეიცვალოს, მაგრამ ფეხბურთელთა არჩევანი მცირეა. ასეთი თამაშით მოგება ნამდვილად შეიძლება და ქეცბაიას გუნდმა ეს არაერთხელ დაამტკიცა, ოღონდაც ასეთი თამაშით ძალიან ბუნდოვანია ჩვენი ნაკრების პერსპექტივა.

ბრძოლას, სათამაშო დისციპლინას ძალიან ბევრი შეუძლია. გულშემატკივარმა საქართველოს ნაკრებს გარჯა ტაშით დაუფასა და ქეცბაიას გუნდმა ეს მართლაც დაიმსახურა. მოედანზე ნანახი ამ გუნდის მაქსიმუმს ჰგავდა. ფეხბურთელიც ადამანია და მისი შესაძლებლობები უსაზღვრო ვერ იქნება.

**დავით თავართქილაძე**



დავით თარგამაძე (ბურთით) — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



ჩვეული სურათი მატჩის შემდეგ — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● მატჩის შემდეგ



## დელ ბოსკემ შეგვაქო, ქეცბაია მომავალს იმედით უყურებს

**ტრადიციისამებრ, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პირველად სტუმართა თავკაცი გამოცხადდა. ვისენტე დელ ბოსკემ საქართველოს ნაკრების მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა.**

- საქართველოს ნაკრებმა მაღალ დონეზე ითამაშა. მეტოქემ დაცვაში ძალიან ორგანიზებულად იმოქმედა და სერიოზული სირთულეები შეგვიქმნა. დღეს იღბალიც ჩვენს მხარეზე იყო და დასახული მიზნის მიღწევა მაინც შევძელით. საქართველოს ნაკრებიდან 9, 10 და 11 ნომრებს გამოვარჩევდი (თარგამაძეს, ოქრიაშვილსა და მჭედლიძეს, ავტ.). 10 ნომერი ძალიან სწრაფი და ტექნიკურია.

**- ელოდით საქართველოს ნაკრებისგან ამგვარ წინააღმდეგობას?**

- ჩვენ მზად ვიყავით მოვლენათა ყველანაირი განვითარებისთვის, მათ შორის მსგავსი სურათისთვის.

**- შეიძლება ითქვას, რომ არბელოას შეცვლითა და მოედანზე ფაბრეგასის გაყვანით ვა-ბანკზე წახვედით?**

- ჩვენ გოლი გვჭირდებოდა და ამ შეცვლამ გაამართლა – ფაბრეგასმაც და ასევე ცვლილებაზე შესულმა პედრომაც საგოლე კომბინაციაში მიიღეს მონაწილეობა.

**- მეორე ტაიმში აშკარა გახდა, რომ ნერვიულობდით. ფრე თქვენთვის კატასტროფა იქნებოდა?**

- ჩვენ გამარჯვება გვინდოდა და ეს დიდი ბრძოლის შედეგად შევძელით.

ხანგრძლივი არც **თემურ ქეცბაიას** პრესკონფერენცია ყოფილა. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თავის ფეხბურთელებსა და სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს მადლობა გადაუხადა, ტრავმირებული გიორგი ლორიას შესახებ კი თქვა, რომ მისი ჯანმრთელობის ზუსტი მდგომარეობა დღეისთვის გახდება ცნობილი.

- ულრმესი მადლობა ბიჭებს ასეთი ბრძოლისა და თავდადებისთვის. ასევე მადლობელი ვარ იმ ქომაგების, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში დაულალავად გვიჭერდნენ მხარს.

აქ თამაშზე ნაკლებია სალაპარაკო, მოედანზე პირველ რიგში, უშელავათო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ჯერ ძალიან შორს ვართ იმ ფეხბურთისგან, როგორიც ჩვენ და ქართველ გულშემატკივრებს სურთ, მაგრამ ეს მებრძოლი გუნდი უკვე იძლევა იმის იმედს, რომ მაღალი დონის ნაკრებად ჩამოყალიბდეს. ამაზე უკვე შეიძლება რაღაცის აშენება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ და იღბალი ჩვენს მხარეს რომ ყოფილიყო, ფრესაც მივაღწევდით.

**ლევან ჯანეზაშვილი**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



● მუნდიალი 2014. მეტოქეები

## დღეს მესამეზე ვართ, ოქტომბერი ბევრს გაარკვევს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**12 ოქტომბერი**

ფინეთი-საქართველო
ბელარუსი-ესპანეთი

**16 ოქტომბერი**

ბელარუსი-საქართველო
ესპანეთი-საფრანგეთი

**საფრანგეთი–ბელარუსი 3:1**

საფრანგეთი: ლორისი, იანგა-მვიბა, ჟალე, სახო, ევრა, კაპუე, მავუბა, კაბაიე (75. მატუიდი), რიბერი (90. მენეზი), ჟირუ (61. ვალბუენა), ბენზემა.

ბელარუსი: ვერემკო, მარტინოვიჩი, რადკოვი, ბრესანი (46. კულჩი), კისლიაკი, პუტილო, პოლიაკოვი, ვერხოვცოვი (70. ბალანოვიჩი), ბორდაჩოვი, როდიონოვი (62. კორნილენკო), დრაგუნი.

გოლები: 1:0 კაპუე (46), 2:0 ჟალე (68), 2:1 პუტილო (72), 3:1 რიბერი (80)

საფრანგეთის ნაკრებმა ორ სასტარტო მატჩში ორი გამარჯვება მოიპოვა და სანამ ესპანეთი ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით დაეწევა, ჩვენს ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერდა.



საფრანგეთი-ფინეთი 3:1

თუკი **დიდიე დეშამის** გუნდმა ფინეთში დიდი ბრძოლის შედეგად გაიმარჯვა, "სტად დე ფრანსზე" შედარებით იოლად მოიგო. ბელარუსებმა ბევრი იბრძოლეს, ანგარიშიც შეამცირეს, მაგრამ მატჩი მაინც მივიდა ლოგიკურ დასასრულამდე. შედეგად, ორ თამაშში განცდილი ორი მარცხით **გეორგი კონდრატიევის** გუნდი ჯგუფში ბოლო ადგილზეა.

ნულქულიან ფინეთსა და ბელარუსს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების შანსი ოქტომბერში ექნებათ – ორივე საქართველოს ნაკრებს მასპინძლობს და იმედია, მიზანს ვერც ერთი მათგანი მიაღწევს. 16 ოქტომბერს კი ჯგუფის ცენტრალური მატჩია: ესპანეთი საფრანგეთს უმასპინძლებს და შესაძლოა, ერთპიროვნული ლიდერი სწორედ იქ გამოვლინდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



რევაზ ლაშხი

## ლაშხი შორს იყურება

ევროპის ვიცე და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) გუშინ დილით გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც კლუბ „აალენის" მიწვევით რამდენიმე დღე დაჰყო. ეს კლუბი ქართველებისთვის კარგადაა ცნობილი - სხვადასხვა ვადით ქართველებს იქ ბევრჯერ უჭიდავიათ, თუმცა ყველაზე სტაჟიანი წევრი ევროპის ჩემპიონი, ამჟამად საბერძნეთში გადაბარგებული (ოღონდ უკვე ბრუნდება სამშობლოში) **ემზარ ბედინეიშვილი** იყო, რომელიც იმდენ ხანს გამოდიოდა იქ, უკვე შინაურად გრძნობდა თავს.

ლაშხი ევროპის ჩემპიონი შარშან გახდა გერმანიაში, თუმცა მისმა აქციებმა განსაკუთრებით ოლიმპიადის ფინალში გასვლის შემდეგ აიწია. აალენური კლუბისთვის - როგორც სპორტსმენების, ისე - ხელმძღვანელებისთვის ის უცხო არც აქამდე ყოფილა და ბევრი პირადადაც იცნობდა, მაგრამ ფაქტია, გერმანელებმა მხოლოდ ახლა მიიწვიეს საჩვენებელი შეხვედრების გასამართავად და მოსალაპარაკებლად. რეზო აალენში იმ განზრახვით წავიდა, რომ ადგილზე გასცნობოდა პირობებს, თუმცა დარჩენის დიდი სურვილი იმთავითვე არ ეტყობოდა. საბოლოოდ მართლაც ისე მოხდა, რომ მხოლოდ რამდენიმე შეხვედრაში იჭიდავა, კონტრაქტამდე კი საქმე არ მისულა. *„მირჩევნია, მთელი ყურადღება ნაკრებს დავუთმო. მით უფრო, გაისად ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს. იქ კლუბში ფინანსურად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ ყველანაირად კარგი პირობაა, მაგრამ სპარინგების თუ მწვრთნელების კუთხით აქ მირჩევნია - სად აკაკი ჩაჩუა ან ნაკრების სხვა მწვრთნელები რომ მომცემენ შენიშვნას, რჩევას და სად ისინი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ რიოს ოლიმპიადამდე არ ღირს არსად წასვლა. მით უფრო, იმ დროისთვის 26 წლის ვიქნები. კლუბები უფრო კარგი იმ პერიოდისთვისაა, როცა კარიერის მიწურულია და სპორტიდან წასვლაზე ფიქრობ - ამ დროს ეკონომიკური საკითხი ბევრად აქტუალურია"* - გვითხრა ლაშხმა.

ჯერჯერობით ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი მშობლიურ ბორჯომშია და მომქანცველი სეზონის შემდეგ ისვენებს. ცხადია, ვარჯიშობს, მაგრამ არა იმ დატვირთვით, როგორც მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის ემზადება. ჯერ არც ისაა ცნობილი, როდის განაახლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს ან როდიდან ჩაებმება შეჯიბრებებში - მისი არ იყოს, ჯერ ნაკრებიც ისვენებს.

ბორჯომს ქართული სპორტის ისტორიაში ჰყოლია სახელოვანი სპორტსმენები, თუმცა რევაზ ლაშხი იქაურთა შორის ყველაზე ტიტულოვანია. დაუფასეს კიდეც - დღეს და ხვალ ბორჯომი მისი სახელობის ტურნირს უმასპინძლებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა უმცროს ასაკში. თავად რეზო საკუთარი სახელობის შეჯიბრებას საპატიო სტუმრის რანგში დაესწრება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

## შავი ზღვის ქვეყნების თასზე

დღეს ბულგარულ ბურგასში დაიწყება შავი ზღვის ქვეყნების მოჭადრაკეთა ფინალური ტურნირი, რომელშიც **ბაადურ ჯობავა** (2734), ალექსანდრ არეშჩენკო (უკრაინა, 2702), ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი, 2700), ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი, 2689), ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი, 2648) და სუათ ატალიკი (თურქეთი, 2603) ითამაშებენ.

გულშემატკივრებმა იციან, რომ სტამბოლში დამთავრებულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ვერ იასპარეზა ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერმა ბაადურ ჯობავამ, რომელმაც ოდესაში ხერხემალზე ოპერაცია გაიკეთა და ასპარეზობის დაწყებამდე მომჯობინება ვერ მოასწრო. ბაადური ბურგასული ტურნირის მონაწილეთა სიაშია, მაგრამ თამაშს შეძლებს თუ არა, დღეს შევიტყობთ, რადგან გუშინ მასთან დაკავშირება ვერ შევძელით.

ტურნირის საპრიზო ფონდია 10.000 ევრო. პირველ-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 2.750, 2.500, 2.000, 1.500 და 1.250 ევროთი დაჯილდოვდებიან.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



მაკა ჩახნაშვილი

## ანამ და მაკამ მოგებით დაიწყეს

გუშინ კვებეკში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირ „ბელ ჩელენჯზე" (საპრიზო ფონდი 220.000 დოლარი) 22 წლის **ანა ტატიშვილმა** (რეიტინგით 52-ე) 23 წლის სესილ კარანტაჩევა (ყაზახეთი, 90-ე) სამ სეტში დაამარცხა: პირველი ხელი დაძაბულ პაექრობაში 7:5 მოიგო, მეორე, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო - 1:6, მესამეში კი მსგავსი ანგარიშით (6:1) რევანში აიღო და მე-2 წრეში გავიდა, სადაც ამერიკელი ჯესიკა პეგელას (165-ე) მძლეველ ხორვატს - პეტრა მარტიჩს (76-ე) დაუპირისპირდება.

**მაკა ჩახნაშვილი** გუშინ საფრანგეთში მონტ-დე-მარსანის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ჩაება. პირველ წრეში ჩვენებურმა უკრაინელი მარინა ზანევსკა დაამარცხა - 6:7, 7:5, 7:5. მეორე წრეში იგი მე-5 ნომრად განთესილი ფრანგის - ირინა ბრემონდის მძლეველ (3:6, 6:4, 6:4) რუსს, ნატალია ორლოვას დაუპირისპირდება.

ანტალიური 10.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაებნენ **თამარ ჭალაგანიძე** და **ანი გოგვაძე**. ჭალაგანიძემ ზედიზედ სძლია ანდრეა-მარი ნიტესკუს ( 6:3, 6:2), პატრიცია კორტესს (6:2, 6:3), გუშინ კი ლიტველ აკვილე პარაზინსკაიტესთან დათმო შეხვედრა (7:5, 3:6, 2:6) და ძირითად ბადეში ვერ გავიდა. საკვალიფიკაციოს პირველ ეტაპზე დამარცხდა ანი გოგვაძე.

**ვაჟა დანელია**

## მეორე წრე 3 ქართველით



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გუშინ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15. 000 დოლარი) პირველი წრის დარჩენილი შეხვედრები გაიმართა. **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** სამ სეტში **გიორგი ცივაძე** დაამარცხა - 6:1, 2:6, 7:5. **ალექსანდრე მეტრეველმა** გუი მიხელევიჩს (ისრაელი) აჯობა - 6:3, 6:1, **მიხეილ ხმიადაშვილმა** მე-2 ნომრად განთესილ ჰანს პოდლიპნიკ-კასტილოსთან (ჩილე) წააგო - 1:6, 2:6. **ნოდარ ითონიშვილი** იტალიელ მატეო მარაისთან პირველ სეტში 3:6 დამარცხდა, მეორეში კი 7:6 სძლია მეტოქეს, მაგრამ შემდეგ ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო და შეჯიბრებას გამოეთიშა. მე-5 ნომრად განთესილმა იტალიელმა მარაიმ უნდა თქვას, ბედი მაქვსო - მეოთხედფინალში იგი უბრძოლველად გავიდა, რადგან უკრაინელმა ორესტ ტერეშჩუკმა შეჯიბრების გაგრძელებაზე უარი თქვა. ტურნირის რეიტინგფავორიტმა ირჟი ვესელიმ (ჩეხეთი) იოლად მოუგო ნიკოლაი ჟმირგალას (პოლონეთი) 6:2, 6:2. იგი მე-2 წრეში გიორგი ჯავახიშვილს დაუპირისპირდება. ნიკოლოზ ბასილაშვილი (3) პეტერ გოლდშტეინერს (ავსტრია) გაუწევს მეტოქეობას, ალექსანდრე მეტრეველი ჰანს პოდლიპნიკ-კასტილოს შეხვდება. ასპარეზობის დანარჩენი მონაწილეები ასე დაწყვილდნენ: მათეუშ ჟმიგიელი (პოლონეთი) - პიოტრ გადომსკი (პოლონეთი), ოლექსი აროვინი (უკრაინა) - ვლადიმირ ივანოვი (ესტონეთი), არკადიუშ კოსილა (პოლონეთი) - ტონი ანდროიჩი (ხორვატია), ლორენ რეკოუდერსი (საფრანგეთი) - იან ბელეშა (ჩეხეთი).

რაც შეეხება წყვილთა ასპარეზობას, აქ პირველი წრე ქართველთა სამმა დუეტმა გადალახა: ალექსანდრე მეტრეველსა და გიორგი ცივაძეს იან ბლეჩა და ნიკოლაი ჟმირგალა არ გამოუცხადდნენ. მიხეილ ხმიადაშვილი, შოთა მეფარიძე - დემურ დავითაძე, გიორგი ჯავახიშვილი - 6:7, 6:3, 10:4. ნოდარ ითონიშვილი, დავით კვერნაძე - ანტონ გალკინი (რუსეთი), ალექსანდრ კუშაკოვი (უკრაინა) 6:4, 4:6, 10:6.

**ვაჟა დანელია**

თარიღი

## გურამ თიკანაძე დღეს 80 წლის გახდებოდა



**გურამ თიკანაძე** და გურამ რჩეულიშვილი მეგობრები იყვნენ - ორივემ ტრაგიკულად და ნაადრევად დაასრულა სიცოცხლე, ისე როგორც ბედთან მორკინალ ჭეშმარიტ რაინდს შეშვენის.

გურამ თიკანაძე 1962 წელს მწვერვალ შხარადან დაშვებისას დაიღუპა. ალპინიზმმა გაიტაცა უნივერსიტეტში სწავლის წლებში. იყო პროფესიონალი ფოტოხელოვანი. განსაკუთრებით იზიდავდა სპორტის სფერო და არაერთი მაღალმხატვრული ფოტოშედევრით გაამდიდრა ქართული სპორტის ფოტომატიანე.

გურამ თიკანაძის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ მწვერვალს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ამ ვაჟკაცის ტრაგიკულ აღსასრულს ლექსი "ვოი" მიუძღვნა პოეტმა მურმან ლებანიძემ, რომელიც ასე მთავრდება:

„გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი - მკვდარიც ჩაუქია!
ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა".



გურამ თიკანაძის ფოტო

სუმო. სექტემბრის ბაშო. 9-23 სექტემბერი

## კოკაის ბედი 2-3 დღეში გაირკვევა

ტოკიოდან ცუდი ამბავი შევიტყვეთ, ქართული პროფესიული სუმოს პიონერმა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მუხლი დაიზიანა და შემოდგომის ბაშოდან მოეხსნა. გუშინ „შავ ზღვას" **არავაშისთან** მარცხი მიენიჭა. კოკაი ძურიოს დივიზიონის არიერგარდშია, მისთვის უარყოფითი ბალანსი დამღუპველი იქნება, რადგან ელიტის მეორე საფეხურიდან გავარდება, მესამე დივიზიონი (მაკუშიტა) სამოყვარულო ლიგაა - 31 წლის ვეტერანი კი ანაზღაურების გარეშე ალბათ არ იჭიდავებს. ეს დაადასტურა კოკაის კლუბის დამრიგებელმა **ოიტეკაძემაც**: თუკი „შავი ზღვა" 2-3 დღეში ვერ მოირჩენს ტრავმას, სავარაუდოდ, ის სუმოდან წასვლის შესახებ გამოაცხადებს.

ელიტის პირველ დივიზიონ მაკუუჩიში კი 212-კილოგრამიანმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** ესტონელი გოლიათი **ბარუტო** დაამარცხა. გაგამარუ ჩემპიონს მიაწვა და დოჰიოდან გააგდო, მაგრამ მსაჯებმა მიიჩნიეს, რომ ორივე რიკიში ერთდროულად დაეცა. დაინიშნა განმეორებითი ორთაბრძოლა, რომელშიც ქართველმა უკვე ალალად გაიმარჯვა. გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს. ეს ამ ბაშოზე ჩვენებურთა პირველი წარმატებაა.

კომუსუბი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** კვლავ დამარცხდა, ამჯერად ჩემპიონ კაკურიუსთან, მას 0-3 ბალანსი აქვს.

### III დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კაისეი (მიტატენაგე), ჰომაშო-კოტოშოგიკუ (უვატედაშინაგე), **გაგამარუ**-ბარუტო (იორიკირი), გოეიდო-კოტოოშუ (ოშიდაში), კაკურიუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (იორიკირი), კისენოსატო-არანი (ოშიდაში), მიოგირიუ-აოიამა (იორიკირი), ტაკეკაძე-ტოიონოშიმა (ცუკიოტოში), ამინიშიკი-ტოკიტენკუ (ოშიდაში). **ძურიო:** არავაში-**კოკაი** (უბრძოლველად).

### IV დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-არანი, ბარუტო-მიოგირიუ, კოტოოშუ-შოჰოზანი, კაკურიუ-ჰომაშო, ჰარუმაფუჯი-კაისეი, **ტოჩინოშინი**-კისენოსატო, **გაგამარუ**-კოტოშოგიკუ, აოიამა-გოეიდო, ტოიონოშიმა-ტოჩიოძანი, ტოიოჰიბიკი-ტაკეკაძე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის ექო. ინტერვიუ ლადო ხინჩეგაშვილთან

# 2012 გორის წელინადი!

## მსაჯებზე დავა ახლა აღარაფერს მომცემს - ამბობს ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი

**ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 21 წლის გორელი ლადო ხინჩეგაშვილი ასაკის მიუხედავად უკვე საკმაოდ ტიტულოვანი სპორტსმენია. მან ჯერ კიდევ ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის ასპარეზობისას მოპოვებულ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონობას, დიდებში გადასვლისთანავე ევროპის და ოლიმპიური ვერცხლის მედლები მიუმატა. ლადო ჭიდაობის მოყვარულებს თავისი ლალი, შემტევი სტილით ხიბლავს, უამრავ ნაცნობებ-მეგობარს კი გულღია ხასიათით და თავმდაბლობით, რომელიც ბოლო ხმაურიანი წარმატების შემდეგაც არ შეუცვლია. ახალგაზრდა ფალავანთან ნაოლიმპიადევს ვრცლად სასაუბროდ გამიზნულად შევარჩიეთ დრო, როდესაც ლონდონის არენიდან გამოყოლილი ემოციები და აჟიოტაჟი გვარიანად ჩაცხრებოდა და განვლილს ერთად, ცივი გონებით გადავხედავდით. ინტერვიუსთვის მას გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში მივაკითხეთ, სადაც სხვათა შორის ოლიმპიადისგან დასვენების მერე პირველად ივარჯიშა.**



ლადო ხინჩეგაშვილი

**- ლადო, ოლიმპიადამ, როგორც პლანეტის უპირველესმა სპორტულმა ასპარეზობამ, თუ გაამართლა შენი, როგორც დებიუტანტის წარმოდგენა მის მნიშვნელობასა და გრანდიოზულობაზე?**

- ოლიმპიადა მხოლოდ ტელევიზიით მენახა და გადმოცემით ვიცოდი. საკუთარი თვალით ნანახმა კი ნამდვილად გაამართლა ჩემი მოლოდინი - ოლიმპიადა მართლაც უდიდესი სპორტული ფორუმია. უშუალოდ პაექრობებისას კი მისი პომპეზურობა, თუ გრანდიოზულობა არანაირად არ მბოჭავდა, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, იმის გამო, რომ ვიცოდი ჩვენს ასპარეზობას თვალს ადევნებდა მილიონობით ადამიანი, მათ შორის ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები, მთელი საქართველო!

**- ლონდონში წასვლამდე ისე დაჟინებით ამბობდი, რომ ერთადერთი მიზანი ოქროს მედლის მოპოვება იყო, თითქოს დიდებს შორის აქტიური კარიერის დასაწყისი კი არა, მიწურული გქონდა.**

- რასაკვირველია, ასაკიდან გამომდინარე ჯერ ბევრი რამ წინაა, მაგრამ რაც ახლა შემიძლია გავაკეთო, სამომავლოდ გადადება არას მარგებს. შანსი როცა მოგეცემა, უნდა გამოიყენო. ლონდონშიც მაქსიმუმისთვის ვიყავი წასული და ამ პრინციპით გავედი სარბიელზე, შანსიც შესანიშნავი მომეცა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენე. ბევრი სპორტსმენისთვის სანატრელი ვერცხლის მედალი უკვე მოპოვებული მაქვს, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონობისთვის ბრძოლის ჟინი არ გამნელებია და არც გამინელდება, სანამ მიზანს არ მივაღწევ.

**- ფინალში ჯამალ ოთარსულთანოვთან შეხვედრის მეორე პერიოდის ბოლოს მსაჯების განსჯით უკმაყოფილო გულშემატკივართა ნაწილმა და შენმა პირადმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა განაცხადეს, რომ შენ მათთვის მაინც ოლიმპიური ჩემპიონი ხარ.**

- მსაჯებს სწორადაც რომ განესაჯათ ის სადავო ეპიზოდი, მესამე პერიოდი ჯერ კიდევ წინ იყო და არავინ იცის რა მოხდებოდა. მე პრაგმატულად ვუდგები საკითხს და წაგებაში მიზეზებს უფრო საკუთარ თავში ვეძებ. მაგრამ კატასტროფაა, როცა არბიტრების გადაწყვეტილება ფატალურად მოქმედებს საბოლოო შედეგზე. ბატონ ნუგზარსაც ალბათ იქიდან გამომდინარე ეიმედებოდა მესამე პერიოდის, რომ ასეთ დროს ხშირად ვიგებ ხოლმე და ოთარსულთანოვთანაც ფსიქოლოგიური უპირატესობა მე მქონდა.

**- ვითარების სასიკეთოდ შემოტრიალება შენთვის მართლაც დამახასიათებელია. ოლიმპიადაზეც პირველი პერიოდების წაგების მერე სამჯერ გამოასწორე ჩამორჩენა.**

- საკუთარ შესაძლებლობათა ზენიტი რეალურად სწორედ ფინალისას ვიგრძენი. ამიტომაც ძალიან მწყდება გული, რომ ოთარსულთანოვთან დავმარცხდი.

**- ევროპის ჩემპიონატზეც შეხვდი ოთარსულთანოვს. რა განსხვავება დაინახე?**

- ორივე ისეთ ასაკში ვართ, რომ ვარჯიშით და შეჯიბრებებით სულ ვუმატებთ. მეც ბევრად დავხვეწე ჩემი ჭიდაობა და ოთარსულთანოვსაც ეტყობოდა, რომ დორტმუნდის მერე აშკარად გაძლიერებულა. საერთოდ მას ტაქტიკურად დგომში ხელებით ჭიდაობა მოსწონს და არა უფრო დაბლიდან. ევროპის ჩემპიონატზე ფინალში რუსეთელმა გახსნილი, შემტევი, სტილი შემომთავაზა. ლონდონში კი ასეთ სტილზე უარი თქვა. ვფიქრობ, რომ თუ შემომიტევდა, მე უკეთესად ავუღებდი ქულებს. პირველი პერიოდი ერთმანეთის ლოდინსა და ურთიერთდაზვერვაში გავატარეთ. ფრეზე ბურთულა ოთარსულთანოვის სასარგებლოდ დაჯდა და მანაც გამოიყენა უპირატესობა. მეორეში კი დინამიკური ჭიდაობა წავიდა, რაც, სამწუხაროდ დასრულდა მსაჯების უხეში შეცდომით.

**- მაინც რა მოხდა იმ სადავო ეპიზოდში?**

- მეორე რაუნდის ბოლო წამებზე მე ჯერ ქულიანი გდება შევასრულე - მეტოქემ თავი დადო ლეიბზე, ამის მერე კიდევ ორქულიანზე გადავაგდე. ეს ორქულიანი რომ არც მოეცათ, რაუნდი მაინც ჩემი იყო, რადგან ერთქულიანი გდების ნამდვილობაზე არც ყოყმანობდნენ. საქმე ისაა, რომ არბიტრებმა დრო ამოწურულად მიიჩნიეს, რის მცდარობაშიც ნებისმიერეს დარწმუნდება ამ შეხვედრის ჩანაწერის ნახვით - დრო ნამდვილად არ იყო ამოწურული!

**- დაახლოებით მსგავსი ვითარება შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო, თუმცა მაშინაც და ახლაც ცდილობ ნაკლები უსაყვედურო მსაჯებს, რაც, არ დაგიმალავ, შენი გულშემატკივარების უმრავლესობას ძალიან მოსწონს.**

- საყვედურებით არაფერი შეიცვლება და ჯობია შეცდომები საკუთარ თავში ვეძებო. ქომაგების კი მადლობელი ვარ თუ ამას გაგებით ეკიდებიან.

**- ლონდონში კენჭისყრის ბურთულით უიღბლობა შენ და გოგშელიძეს სულ თან გდევდათ...**

- ცუდია, რომ მეც და გიორგისაც ამ უპირატესობის გამოყენების შანსი არა და არ მოგვეცა. ჩემთან სამი შემთხვევიდან ორჯერ მოწინააღმდეგემ თავისი ფერის ბურთულა ამოიღო, ერთხელაც მე ამოვიღე მის სასარგებლოდ.

**- გოგშელიძის გამოსვლაზე რას გვეტყვი?**

- გიორგის დონის და კლასის სპორტსმენი საერთოდ იშვიათობაა. მას ნებისმიერ შეჯიბრებაზე შეუძლია იპირველოს, ლონდონში, მოგეხსენებათ, საჩემპიონო გზაზე მისი ყველაზე უშუალო კონკურენტები ადრევე დამარცხდნენ და მით უფრო ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ გიორგის ტრიუმფი ახლოს იყო. ყველასთვის მართლაც ძალიან მოულოდნელი იყო ნახევარფინალში მისი მარცხი.

**- სამშობლოში ოლიმპიელების მიღებით ალბათ კმაყოფილი ხარ...**

- ცხადია, ველოდით დახვედრას, მაგრამ ასეთს ნამდვილად არა! საოცრად გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს ჯერ აეროპორტშივე; მშობლიურ გორში ხომ საერთოდ შთამბეჭდავი იყო ყველაფერი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამხელა მნიშვნელობა აქვს ოლიმპიურ თამაშებში წარმატებას.

**- გავიგეთ შენ და ლაშა შავდათუაშვილი დამეგობრებულხართ...**

- კი, ჩვენ კარგი მეგობრები გავხდით. ლაშა ერთი წლის წინათ გავიცანი, როცა თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის რემონტის გამო დროებით ძიუდოს დარბაზს შევაფარეთ თავი. ოლიმპიადაზე მან დასაწყისში იჭიდავა, ჩვენ ბოლოს, ბოლომდე გულითადად გვქომაგობდა ყველას. საქართველოში დაბრუნებისას კი ოლიმპიელები ბათუმში რომ დაგვასვენეს, მე და ლაშა ერთ ოთახში ვცხოვრობდით.

**- გორელმა ოლიმპიელებმა მედლებით აჯობეთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა პორტუგალია, საბერძნეთი, ბულგარეთი, ისრაელი, ინდოეთი...... ალბათ ძალიან გეამაყებათ.**

- რა თქმა უნდა საამაყო ფაქტია. ოლიმპიადაზეც დელეგაციის წევრები და შემდეგაც საქართველოში ხშირად ხუმრობდნენ, რომ „წლეულს გორის წელიწადია, სამი ოლიმპიური მედალი გაქვთ, ბოლოს „ჯეოსტარშიც“, „ნიჭიერშიც“ და ლატარიის ჯეკ-პოტის თანხაც კი გორელებმა მოიგეთო“. მიხარია, რომ საერთო - ქართულ წარმატებაში გარკვეული წვლილი მეც შევიტანე.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

წყალბურთი



# ჩემპიონთა დუელი ოლიმპიკში

ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისური წყალბურთი საგრძნობლად გამოცოცხლდა. საქართველოს დედაქალაქმა რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებასაც უმასპინძლა. მათ შორის გამორჩეული იყო ლენტროფის საკვალიფიკაციო ეტაპები, რომლებიც წარმატებით დაძლია თბილისის „ლიგამუსმა“. ევროპულ კლუბებთან ღირსეულ პაექრობაში მომდევნო ეტაპის საგზურიც მოიპოვა. მართალია. უფრო მაღალ საფეხურზე უფრო ძლიერ მეტოქეებს ვერ გაუმკლავდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერს დრო და გამოცდილება სჭირდება.

„ლიგამუსმა“, რომელიც 2012 წლის ზაფხულამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით გამოდიოდა, გაზაფხულზე მესამედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და ევროპის ჩემპიონთა ლიგაში თამაში მოისურვა. და აი, საჯილდაო ქვის მოსინჯვის ჯერი დადგა.

საწყლოსნო სახეობათა ევროპის ფედერაცია წლეულს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ახალი ფორმატით ჩაატარებს, რაც თასისთვის ბრძოლაში ისეთ კლუბებსაც გაუხსნის გზას, რომლებსაც უწინ საამისოდ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ.

შეჯიბრებაში 28 გუნდი იასპარეზებს (ფინანსური კრიზისისა და სხვა შინა პრობლემების გამო წლევანდელ გათამაშებას თავი აარიდეს თასის ამჟამინდელმა მფლობელმა იტალიის „პრორეკომ“, ასევე, ზაგრების (ხორვატია) „მლადოსტმა“, ბუდაპეშტის (უნგრეთი) „ვაშაშმა“, ჩერნოგორიის კლუბებმა). მათგან თვრამეტი სიძლიერის მიხედვით ოთხ ჯგუფში გადაანაწილეს, თან თითო ადგილი იმ კლუბებისთვის შემოიტოვეს, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპზე იბრძოლებენ საგზურებისთვის. იმ რვა გუნდს შორისაა „ლიგამუსი“. წყალბურთის მამებმა, გაითვალისწინეს რა წინა წლებში ჩვენთან მაღალ დონეზე ჩატარებული შეჯიბრებები, პირველი რაუნდის A ჯგუფის მასპინძლობა თბილისს ანდეს. 14-16 სექტემბერს საქართველოს ჩემპიონი საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ მომდევნო ეტაპის ორი საგზურისთვის პოლონეთის „ალკონიას (14.IX), ესპანეთის „საბადელსა“ (15.IX) და ბელარუსის „ვიტბიშს“ (16.IX) გაუწევს მეტოქეობას. ჯგუფის აშკარა ფავორიტია „საბადელი“, რომელიც ევროპის თასის შარშანდელი გათამაშების ფინალისტია. დანარჩენი 3 გუნდი მე-2 საგზურისთვის იბრძოლებს. საკვალიფიკაციო რაუნდის თბილისის ჯგუფის გამარჯვებული მოხვდება A ჯგუფში, სადაც მას ჰოლანდიის „შუურმანი“, საბერძნეთის „ვოულიაგმენი“, ვოლგოგრადის (რუსეთი) „სპარტაკი“, უნგრეთის „ეგერი“ და ჰანოვერის“ (გერმანია) „ვასპო-98“ ელოდება. მეორე ადგილზე გასული გუნდი კი D ჯგუფში ითამაშებს. იქ კი უნგრეთის „სეგედ-ბეტონს“, ბელგრადის (სერბეთი) „პარტიზანს“, ბერლინის (გერმანია) „შანდაუ 04“-ს, ორადეის (რუმინეთი) „დიჯის“ და სტამბოლის (თურქეთი) „გალათასარაის“ უკვე ადგილები დაჯავშნული აქვთ. ასპარეზობის მე-2 ეტაპის თითოეული ჯგუფიდან მერვედფინალში ოთხ-ოთხი გუნდი გავა.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებისთვის მონდომებით ემზადება „ლიგამუსი“ სახელოვანი ქართველი წყალბურთელის **რევაზ ჩომახიძის** ხელმძღვანელობით. ამჟამად გუნდი ასეთი შემადგენლობით ვარჯიშობს: **ზურაბ ჭუმბურიძე, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ბექა ქენქაძე, გალაკტიონ ლაითაძე, ალექსანდრე რუსიშვილი, ბექა ქავთარაძე, ლევან ჩიქვინიძე, ბექა კაპანაძე, გიორგი ქართველიშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ირაკლი ფავლენიშვილი, გივი სულაძე და ალექსანდრე ურუშაძე.** მათგან მწვრთნელი თუ ვის ანდობს „ლიგამუსის“ სპორტული ღირსების დაცვას, ასპარეზობის დაწყების დღეს გამოჩნდება.

**ვაჟა დანელია**

ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ევრობასკეტი 2013

# NETHERLEND - ზღაპრის კეთილი დასასრული

## მადლობა გულშემატკივარს, მადლობა კალათბურთელებს!

11 სექტემბერი. თბილისი, სპორტის სასახლე, 9 000 მაყურებელი

**საქართველო 97:89 ჰოლანდია**

25-21, 29-22, 18-16, 25-30

მსაჯები: ს. რადოვიჩი (ხორვატია), გ. კოჰენი (ისრაელი), ს. ემლეკი (თურქეთი).

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6. ბოისა | 5 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 1 |
| *8. ცინცაძე | 34 | 6/11 | 54.5 | 4/6 | 66.7 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 6 | 2 | 3 | 0 | 2 | 3 | 1 | 14 |
| *9. შერმადინი | 33 | 1/4 | 25.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 6/6 | 100.0 | 3 | 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 4 | 5 | 8 |
| *11. მარკოიშვილი | 34 | 8/17 | 47.1 | 6/9 | 66.7 | 2/8 | 25.0 | 4/4 | 100.0 | 1 | 4 | 5 | 5 | 2 | 5 | 1 | 4 | 3 | 1 | 22 |
| 12. ფაცაცია | 13 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 3 | 0 | 6 | 3 |
| *13. სანიკიძე | 34 | 7/14 | 50.0 | 5/8 | 62.5 | 2/6 | 33.3 | 6/7 | 85.7 | 4 | 9 | 13 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 6 | 22 |
| *15. მეტრეველი | 16 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 2/3 | 66.7 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 | 2 | 5 | 4 |
| 31. მათიაშვილი | 5 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 34. პულენი | 26 | 7/16 | 43.8 | 4/8 | 50.0 | 3/8 | 37.5 | 6/9 | 66.7 | 2 | 2 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 7 | 14 | 23 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 2 | 2 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/67 | 46.3 | 21/37 | 56.8 | 10/30 | 33.3 | 25/31 | 80.6 | 11 | 24 | 35 | 20 | 13 | 14 | 5 | 20 | 24 | | 97 |

| ჰოლანდია | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. იანსენი | 35 | 7/14 | 50.0 | 3/4 | 75.0 | 4/10 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 6 | 5 | 0 | 0 | 2 | 3 | -6 | 18 |
| 6. დე იონგი | 16 | 2/5 | 40.0 | 2/4 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 3 | 0 | 3 | 1 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | -12 | 5 |
| 8. კულზებოსი | 9 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -4 | 2 |
| 9. ტეევუკენსი | 11 | 2/3 | 66.7 | 2/2 | 100.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 3 | 0 | 8 | 4 |
| *11. სმეელდერსი | 37 | 7/14 | 50.0 | 7/14 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 8/10 | 80.0 | 3 | 10 | 13 | 1 | 3 | 1 | 0 | 3 | 7 | -7 | 22 |
| *12. აკერბომი | 19 | 3/8 | 37.5 | 2/3 | 66.7 | 1/5 | 20.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 1 | 3 | 0 | 4 | 0 | 0 | 3 | 1 | -1 | 7 |
| *21. ნორელი | 34 | 3/10 | 30.0 | 3/10 | 30.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 3 | 4 | 7 | 3 | 3 | 1 | 0 | 4 | 2 | -5 | 8 |
| 25. კანინგემი | 7 | 1/3 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 | 2 | -5 | 4 |
| *44. სლაგთერი | 32 | 6/9 | 66.7 | 2/2 | 100.0 | 4/7 | 57.1 | 3/3 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 5 | 2 | 4 | 0 | 3 | 4 | -8 | 19 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 3 | 5 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 32/69 | 46.4 | 22/43 | 51.2 | 10/26 | 38.5 | 15/19 | 78.9 | 16 | 27 | 43 | 18 | 23 | 8 | 1 | 24 | 20 | | 89 |

*შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, **+/-** - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.*




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მადლობა გულშემატკივარს! - ასეთი პლაკატი გაშალეს საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა ჰოლანდიასთან მატჩის დასრულების შემდეგ. თითოეულს მათგანს თეთრი მაისურა ემოსა, რომელზეც მკაფიო ასოებით ეწერა: **საქართველო, ევრობასკეტი 2013**. აქაც ძახილის ნიშანი უნდა - ზედიზედ მეორედ ჩვენმა კალათბურთელებმა ევროპის მთავარი საკალათბურთო ფორუმის საგზური მოიპოვეს! მათ დიდად დაეხმარნენ ქომაგები, რომლებიც ყოველ თამაშზე დარბაზში საოცარ ატმოსფეროს ქმნიდნენ. ამიტომაც დაიმსახურეს მადლობა კალათბურთელებისგან. ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავდადებითა და ლამაზი თამაშით თავად კალათბურთელებსაც ეკუთვნოდათ გულშემატკივრისგან მადლობა, მიიღეს კიდეც - გუშინ სპორტის სასახლეში 9 ათასი ქომაგი მივიდა.




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჩვენი ნაკრების სერბმა თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** საფინალო სირენასთან ერთად თითოეულ კალათბურთელს გამარჯვება მიულოცა და ევრობასკეტი 2013-მდე დაემშვიდობა. პრესკონფერენციაზე იგი ზემოთ ნახსენები ქართულწარწერიანი მაისურით გამოცხადდა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ჟურნალისტებსაც მოგვილოცა:

- რთული ზაფხული გვქონდა, ბევრი ვიშრომეთ, კალათბურთელები თავს არ ზოგავდნენ. ყოველ მეტოქესთან მატჩს სხვადასხვაგვარად ვეკიდებოდით, ბოსნია ექვს მოთამაშეზე აწყობილი გუნდია, ლატვიაში 11 კალათბურთელი თამაშობს. ვცდილობდით, თითოეული კალათბურთელისთვის მომატების საშუალება მიგვეცა. იყო უარყოფითი და დადებითი მომენტები. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, მთავარი იყო შედეგი. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ნაკრებს თავდადებული შრომა დაუფასდა და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებს ჰოლანდიასთან მატჩში **ზაზა ფაჩულია** რომ დააკლდებოდა, წინა დღისით გავიგეთ. უშუალოდ შეხვედრის წინ ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია **თორნიკე შენგელიას**. მისი ამბავი მამამისმა, **კახა შენგელიამ** მატჩამდე გვითხრა: თორნიკეს ტერფი აწუხებს, ასე ითამაშა ლატვიაში, ჰოლანდიასთან კი მოედანზე ვერ გავაო. თორნიკეს სწორედ ის ტრავმა გაუმიზეზდა, რომლის გამოც ზამთარში სამი თვე დაისვენა.

საინტერესო იყო, რა ცვლილებებს განახორციელებდა მთავარი მწვრთნელი ორი სასტარტო მეფარის არყოფნაში. იგორ კოკოშკოვმა სასტარტო შემადგენლობაში ცენტრის პოზიციაზე **გიორგი შერმადინი** გაამწესა, ხოლო მძიმე ფორვარდად **ნიკა მეტრეველი**, რომელიც ნაკრებს ლატვიაში ვერ გაჰყვა, მოწამლული იყო. მსუბუქი ფორვარდის ამპლუაში კვლავ **ვიქტორ სანიკიძე** დაბრუნდა (მან ჰოლანდიასთან პირველ შეხვედრაში მხრის ტრავმის გამო ვერ ითამაშა). მსროლელი **მანუჩარ მარკოიშვილი** იყო, ხოლო გამთამაშებელი - **გიორგი ცინცაძე**. აქვე უნდა ითქვას, რომ თითოეულმა კალათბურთელმა მაღალი კლასი და ბრძოლისუნარიანობა კიდევ ერთხელ გამოავლინა.

- მატჩის წინ გაირკვა, რომ ორი ისეთი კაცი დაგვაკლდებოდა, რომლებიც საშუალოდ 30 წუთს თამაშობენ. ამიტომ, გადაწყობამ ფორსირებულად მოგვიწია. სასტარტოში მეტრეველი და შერმადინი დავაყენეთ, რომლებმაც დაკისრებულ ფუნქციას თავი კარგად გაართვეს. ვიქტორ სანიკიძეს ხშირად უწევდა მძიმე ფორვარდის ფუნქციების შესრულება, - განაცხადა იგორ კოკოშკოვმა და დასძინა: ბოლო მატჩში თამაშის მეტი საშუალება მივეცით სათადარიგოებსო. მართლაც, მწვრთნელი პირველ ტაიმში ხშირად მიმართავდა ცვლილებებს, შემოიყვანა **ლევან ფაცაცია, რიჩარდ მათიაშვილი, ანატოლი ბოისა**... ხოლო გადამწყვეტი მეოთხედისთვის კი ძირითადად გამოცდილ ხუთეულს დაეყრდნო - ცინცაძე-პულენი-მარკოიშვილი-სანიკიძე-შერმადინი. მათ შეხვედრა დამაჯერებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე, დრო რომ ჰყოფნოდათ, სეზონს 100 ქულით დაასრულებდნენ, თუმცა ეს მთავარი არ არის, იგორ კოკოშკოვის სიტყვებს მოვიშველიებთ - უფრო მნიშვნელოვანია, რომ გუნდმა გაიმარჯვა.

■ ■ ■

- დარბაზში საოცარი ატმოსფერო სუფევდა. ეს ნებისმიერ კალათბურთელზე დადებითად მოქმედებს. ჩვენც კარგად ვისროლეთ, თუმცა საქართველოს ნაკრებმა უკეთესად ითამაშა და ვერაფერი დავაკელით, - გახსნა პრესკონფერენცია ჰოლანდიელმა გამთამაშებელმა **დავიდ იანსენმა**.

გიორგი შერმადინმა თითოეულ გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა და წარმატება მიულოცა:

- მადლობა ყველას, ქომაგს, მწვრთნელებს, გუნდის თითოეულ წევრს. ევრობასკეტზე მოხვედრით ძალიან გავიხარეთ და უფრო სასიამოვნოა, რომ სანაკრებო სეზონი თბილისში ჰოლანდიის ძლევით დავასრულეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფინალში გასვლა გადაწყვეტილი იყო, თავი არ დაგვიზოგავს და შედეგსაც მივაღწიეთ.

ჰოლანდიელთა დამრიგებელმა **იან იანსენმა** აღფრთოვანება ვერ დამალა საქართველოში კალათბურთისადმი მიდგომით:

- მატჩს ქვეყნის პირველი ლედი, სანდრა რულოვსი დაესწრო, რომელიც ჩვენი თანამემამულეა. მისი კალათბურთზე გამოჩენა იმას ნიშნავს, რომ სპორტის ამ სახეობას თქვენთან დიდი ყურადღება ექცევა. ვიცოდით, ჰოლანდიაში წაგების გამო ქართველები რევანშზე იზრუნებდნენ. ასეც მოხდა, გაიმარჯვა ძლიერმა.

იგორ კოკოშკოვმა პრესკონფერენციაზე მომავალსა და შემადგენლობაზეც ილაპარაკა:

- მომავალში რა მოხდება, ძნელი სათქმელია. დღეს სპონტანურად შეიძლება ითქვას, რომ ყოველ წელს ყველაფერს ახლიდან ვიწყებთ, შემადგენლობის შეკრებიდან დაწყებული, ფიზმომზადებით და ტაქტიკური სიახლეებით დამთავრებული. ყოველთვის ვცდილობთ აქცენტი ტალანტებზე გავაკეთოთ. ასე იქნება მომავალ წელსაც.

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | წ | სხბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 8 | 6 | 2 | 736/672 | 14 |
| 2. საქართველო | 8 | 6 | 2 | 707/666 | 14 |
| 3. ლატვია | 8 | 5 | 3 | 655/584 | 13 |
| 4. ჰოლანდია | 8 | 2 | 6 | 667/726 | 10 |
| 5. რუმინეთი | 8 | 1 | 7 | 569/686 | 9 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# პლეი ოფზე პრეტენზია შვიდ გუნდს აქვს

**საქართველოს ჩემპიონატში ორი ტურის მატჩები შედგა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბებს წინ საკმაოდ გრძელი მარათონი აქვთ გასავლელი, უკვე შესაძლებელია გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები და ვილაპარაკოთ გუნდების სამომავლო პერსპექტივებზე.**

როგორც მოსალოდნელი იყო, სატურნირო ცხრილს სათავეში ის გუნდები მოექცნენ, რომლებიც შარშანდელ გათამაშებაში პლეი ოფში გაისარჯნენ და წლეულსაც სამართლიანად მიიჩნევიან ფავორიტებად. სიახლე კი ის არის, რომ მათ მარაქაში კიდევ ერთი გუნდი, თბილისის „არმაზი“ გაერია, რომელმაც სტარტზე ორივე თამაში მოიგო. ამ გუნდის შესახებ ოდნავ ქვემოთ გეტყვით. ახლა კი ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერით დავიწყოთ.

ბოლო წლების მუდმივმა ფავორიტმა თბილისის „ლელომ“ პირველ ორ ტურში ორივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. ორივე თამაშში თითო პრემიალური ქულა მიითვალა და ახლა 10 ქულით პირველ ადგილზეა. ლელოელთა უპირატესობა როგორც „აკადემიასთან“, ისე „ყოჩებთან“ დაპირისპირებაში იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მათ გამარჯვებაში წამითაც კი არავის შეპარვია იოტისოდენა ეჭვი.

„ლელოს“ ასეთი სიძლიერე დაბალანსებული შერკინებითა და უკანა ხაზით აიხსნება. მორკინალებმა გასულ სეზონთან შედარებით აშკარად გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი, თუმცა გარკვეული ხარვეზები მაინც შეინიშნება. განსაკუთრებით კი მოლში თამაშისას, როგორც შეტევაში, ისე დაცვაში.

გუნდი საგრძნობლად გააძლიერა გამოცდილი შერკინების კვაჭის **რეზო ბელქანიას** დამატებამ, თუმცა შესანიშნავი მორაგბეა მის პოზიციაზე მოთამაშე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **დავით ხიდეშელი**, რომელმაც “ყოჩებთან” მატჩში სამი ლელო მიითვალა და მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. ის სხარტი, მოქნილი და საზრიანი მოთამაშეა. ცალკე აღნიშვნის ღირსები არიან ახალგაზრდა მორკინალები **სანდრო ქოიავა** და **ელგუჯა სურგულაძეც**.

მიუხეავად იმისა, რომ უკანა ხაზში „ლელოს“ **ალქესანდრე თოდუა** დააკლდა, ამ რგოლში ყველაზე ნაკლებად უჭირს. მით უფრო, რომ გუნდს ინგლისიდან სამშობლოში დაბრუნებული **ალექსანდრე ნიჟარაძე** დაემატა. ამასთან ერთად, ჯერ არ უთამაშია გარემარბ **ირაკლი გეგენავას**, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მეშვიდკაცეა.

ერთი სიტყვით, „ლელოს“ საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და სეზონის განმავლობაში რაიმე სერიოზული ჩავარდნა მოსალოდნელი არ არის. ის გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

უკვე ვთქვით, რომ თბილისის „არმაზის“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გამოჩენა ყველასთვის მოულოდნელი იყო. არმაზელებმა ორიდან ორივე შეხვედრა მოიგეს და რვა ქულა დაუგროვდათ. ეს შედეგი სავსებით ლოგიკურია, რადგან როგორც თბილისის „აკადემიის“ პრეზიდენტმა **გია ლლონტმა** „არმაზთან“ მატჩის შემდეგ მითხრა - ჯანზეც მაგრად არიან და თამაშიც უსწავლიათ.

არმაზელებს აგერ უკვე მეორე წელიწადია სათავეში საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბე **დავით ვართანიანი** და მოთამაშე მწვრთნელი **დავით კიკნაძე** ჩაუდგნენ. როგორც ჩანს, მიზანმიმართულმა, დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. მით უფრო, რომ გუნდს წლეულს საქარველოს ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი დაემატა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შერკინების კვაჭი **გიორგი სოსელია**, ეს მუდამ თავდადებით მებრძოლი მორაგბე გუნდის ერთგულია და საკმაოდ მაცდუნებელი წინადადებების მიუხედავად „არმაზს“ არ ტოვებს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ კლუბის პრეზიდენტი მისი მამა **გია სოსელიაა**.

„არმაზს“ მესამე ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერ „ყოჩებთან“ უწევს თამაში, მერე კი სტუმრად დაუპირისპირდება „ბათუმი XV“-ს, სადაც, ვფიქრობთ, კარგად გამოჩნდება ამ გუნდის რეალური ძალა.

ორი თამაშიდან ორი გამარჯვება მოიპოვა შარშანდელი ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონმა ქუთაისის „აიამ“. ქუთათურებმა „ლელოსგან“ და „არმაზისგან“ განსხვავებით ორივე შეხვედრაში ფავორიტები „ბათუმი XV“ და „არმია“ დაამარცხეს დაძაბულ ბრძოლაში.

შეხვედრა, რომელშიც „აიამ“ სტუმრად ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელის „არმიას“ სძლია, თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ორივე ტურის მშვენებად. ქუთაისურმა გუნდმა სეზონის წინ სამი პირველხაზელი დაკარგა, რომლებიც საფრანგეთის ელიტური დივიზიონის კლუბებში გადაბარგდნენ. მიუხედავად ამისა, „აიას“ პირველი ხაზი მაინც მძლავრი და მობილურია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გუნდის ყველა ახალწვეული, მათ შორის პირველხაზელებიც ქუთაისური სკოლის აღზრდილები არიან.

შესანიშნავი მატება აქვს „აიას“ უკანა ხაზში. ახალგაზრდული ნაკრების მორაგბეები, **გიორგი ფრუიძე, ზურაბ ძნელაძე** და **გიორგი აბრამიძე** ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშეებად მიიჩნევიან. „აიაში“ ბრწინვალედაა შეხამებული გამოცდილებისა და ახალგაზრდობის სინთეზი, რაც ამ გუნდს კიდევ უფრო მძლავრს და მოტივირებულს ხდის.

საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“ სხვა გუნდებთან შედარებით ფინანსურად ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია. თავდაცვის სამინისტროს დახმარებით არმიელები სეზონისთვის შესანიშნავ პირობებში ემზადებოდნენ. სტარტიც წარმატებული აილეს, პირველ ტურში უმაღლესი ლიგის დებიუტანტი თბილისის „ილიაუნი ჯიქი“ დაამარცხეს, მაგრამ მერე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „აიასთან“ წაიფორხილეს.

ქუთათურებთან მარცხი, სულაც არ ნიშნავს, რომ „არმია“ სათვალავიდან უნდა ამოვიღოთ. პირიქით, გუნდის ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამ წარუმატებლობით გახელებულნი, მომავალ შეხვედრებში გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებენ და თუ თამაშის დალაგებასაც შეძლებენ, ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგობის დაძლევა ძალუძთ.

წლეულს, შარშანდელისგან განსხავებით, სერიოზული პრობლემები აქვს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივს“. რკინიგზელებმა ორიდან ერთი შეხვედრა მოიგეს, თუმცა ამან შეცდომაში არავინ უნდა შეიყვანოს. როგორაც უნდა დასრულდეს პირველი წრე, გადამწყვეტი მაინც მეორე წრის მატჩები იქნება და „ლოკომოტივს“ ყველა რესურსი გააჩნია საიმისოდ, რათა ისევ საუკეთესოთა შორის დაიკავოს ადგილი.

რკინიგზელებმა სტუმრად ნააგეს „ბათუმი XV“-თან, რომელიც ბოლო ხანს საგრძნობლად მოღონიერდა და წლევანდელ გათამაშებაში მხოლოდ პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოლებს. შავიზღვისპრელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრად „აიას“ და, მარცხის მიუხედავად, შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს. მათი ამბიციების საფუძვლიანობა კი თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩში დამტკიცდა.

ორიდან ერთი გამარჯვება აქვს უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ილიაუნი ჯიქს“, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და ასევე პრეტენზია აქვს, რომ საპლეიოფო ოთხეულში გააღწიოს. „ჯიქებმა“ მეორე ტურში რუსთავის „ხარები“ დაამარცხეს, რომელსაც თბილისის „აკადემიასთან“ ერთად მოგებათა გრაფაში ჯერ ნული უწერია.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | +50 | 10 |
| 2. არმაზი | 2 | 2 | 0 | 0 | +31 | 8 |
| 3. აია | 2 | 2 | 0 | 0 | +11 | 8 |
| 4. არმია | 2 | 1 | 0 | 1 | +15 | 6 |
| 5. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | +6 | 4 |
| 6. ბათუმი XV | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| 7. ჯიქები | 2 | 1 | 0 | 1 | -9 | 4 |
| 8. ხარები | 2 | 0 | 0 | 2 | -20 | 1 |
| 9. ყოჩები | 2 | 0 | 0 | 2 | -41 | 0 |
| 10. აკადემია | 2 | 0 | 0 | 2 | -43 | 0 |

**III ტური**

**ილიაუნი ჯიქი-აია, ლოკომოტივი-არმია, ლელო-ბათუმი XV, არმაზი-ყოჩები, ხარები-აკადემია.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ლოკომოტივი-ყოჩები

სემინარი



დუგლას ლენგლი

# პროგრესი აშკარაა

**5 სექტემბერს, საქართველოს სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ესტუმრა, ევროპაში IRB–ს განვითარების მენეჯერი, დუგლას ლენგლი და IRB–ის ლიცენზირებული ფიზმომზადების ედუკატორი (მწვრთნელთა – მწვრთნელი) გორდონ ბრიცი. ის ასევე ირლანდიურ „მანსტერში“ მუშაობს ფიზმომზადების მწვრთნელად.**

**დუგლას ლენგლიმ** საქართველოს რაგბის კავშირის შესაბამის სამსახურებთან ერთად, განიხილა IRB –ის განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობა. ხოლო 6 და 7 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო საქართველოს რაგბის კავშირისა და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარში. სემინარს IRB–ის ლიცენზირებული ფიზ მომზადების ედუკატორი **გორდონ ბრიცი** უძღვებოდა და მიზნად ისახავდა, საქართველოში მომუშავე ედუკატორებისთვის დამატებითი ფიზმომზადების კურსის გავლას.

უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელებს, ჩაუტარდათ IRB–ის პირველი დონის ფიზმომზადების კურსი, რის შემდეგაც მწვრთნელებმა გაიარეს ტესტირება და მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები.

დუგლას ლენგლიმ დადებითად შეაფასა როგორც განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების შესრულების დონე, ასევე სემინარის ორგანიზაცია.

**დუგლას ლენგლი**, IRB-ის განვითარების მენეჯერი ევროპაში:

*„უწინარესად მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემი მეოთხე ვიზიტია საქართველოში და ყოველ ჩამოსვლაზე აშკარად იგრძნობა წინსვლა. ვამოწმებ IRB-ის განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების შესრულების მიმდინარეობას და ასევე ჩემი ამჟამინდელი ვიზიტი მიზნად ისახავს ფიზმომზადების ედუკატორთათვის პრაქტიკული და თეორიული ტრეინინგების ჩატარებას.*

*გასულ წლებთან შედარებით პროგრესი აშკარად არის. იმატა მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების რაოდენობამ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს რაგბის კავშირს საქმეები კარგად აქვს გადანაწილებული სხვადასხვა რგოლზე, რაც დადებით შედეგს იძლევა.*

*ყველა ის ინფორმაცია, რაც მინდოდა, რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფისაგან მივიღე. ასევე კავშირის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ განვითარების ჯგუფის მუშაობა და კმაყოფილი დავრჩი. თანხები მიზანმიმართულად იხარჯება, რაც, როგორც გითხარით, აისახება კიდეც მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების რაოდენობის ზრდაში. ქართველი ედუკატორები არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც ატარებენ სემინარებს. თუმცა დასახვეწი კვლავ ბევრი რამ არის, მაგალითად, ქალთა რაგბი, აუცილებელია მწვრთნელებისა და მსაჯების რიცხვის კიდევ მეტად გაზრდა, უფრო მაღალ დონეზე ასვლა. მწვრთნელები და მსაჯები უნდა ქმნიდნენ მოთამაშეთა განვითარების საჭირო სისტემას.*

*ფიზმომზადების ედუკატორთათვის პრაქტიკული და თეორიული ტრეინინგები მიზნად ისახავს გახადოს ქართველი ფიტნეს მწვრთნელები კონკურენტუნარიანები და აიღონ შესაბამისი სერთიფიკატები. ჩავატარეთ პრაქტიკული და თეორიული სემინარები, რითიც მე და გორდონ ბრიცი კმაყოფილები ვართ. მომავალ წელს კიდევ ჩამოვალ, თუმცა ზუსტი თარილი ჯერ არ ვიცი.“*

ზურა ამონაშვილი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი, IRB –ის მწვრთნელთა და ფიზმომზადების, პირველი დონის ედუკატორი:

*„სამუშაო პროცესი დატვირთული იყო. გვეძლეოდა საშინაო დავალება და მომდევნო დღე ეთმობოდა შედეგების განხილვას. თეორიულ სწავლებას ენაცვლებოდა პრაქტიკული ვარჯიშები, მოედანზე და დარბაზში. სემინარის დასრულების შემდეგ ჩავაბარე გამოცდები და ავიღე სერთიფიკატი, რაც კიდევ უფრო დამეხმარება მუშაობაში. საშუალება მომეცა, უკეთ გავცნობოდი და შემესწავლა მოთამაშეების ფიზიკური მომზადების და განვითარების სქემა.“*

ირაკლი ჭყონია, საქართველოს 17 და 19-წლამელთა ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი:

*„სემინარის შემდეგ ავიღე სერთიფიკატი და გავხდი IRB –ის პირველი დონის ფიზმომზადების ედუკატორი. ახლა შემიძლია მსგავსი სემინარები ჩავატარო და წარმატებულ მწვრთნელებს გადავცე სერთიფიკატები. პრაქტიკული ვარჯიშების საშუალებით კიდევ უფრო ღრმად გავეცანი და ავითვისე მორაგბეთა ფიზმომზადების საკითხები.“*

**საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა




ჯუდი მიურეი, სერ შონ კონერი, ენდი მიურეი და სერ ალექს ფერგიუსონი

# ენდის ორი სერი ამხნევებდა

ამერიკის ღია პირველობაზე ენდი მიურეის მხარდამჭერთა სერიოზული ჯგუფი ჰყავდა - მას ერთბაშად ორი სერი - მსახიობი **შონ კონერი** და „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** ქომაგობდნენ. სახელოვანი შოტლანდიელები სპეციალურად ჩავიდნენ ნიუ იორკში ფინალზე დასაწრებად.

მატჩის შემდეგ, ფერგიუსონი და კონერი ენდის გუნდს შეხვდნენ და პირადად მიულოცეს ჩოგბურთელს წარმატება.

*„ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ მატჩზე დასწრება. მომწონს ჩოგბურთი და აშშ-ის ღია პირველობის ფინალის ცოცხლად ხილვა განსაკუთრებული მოვლენა გახდა. მატჩის მსვლელობისას ძალიან ვინერვიულე, იმაზე მეტად, ვიდრე ეს პრემიერლიგის მატჩების დროს ხდება. ჩვეულებრივ, საფეხბურთო შეხვედრების დროს საკუთარ თავს ვაკონტროლებ, მაგრამ ამჯერად, მსგავსი არაფერი შემეძლო.*

*ენდის გამო ძალიან გახარებული და ამაყი ვარ. მიმაჩნია, რომ ეს შეხვედრა მისთვის ნამდვილი საჩემპიონო ტესტი იყო"*, - განაცხადა ფერგიუსონმა BBC-ისთან კომენტარში.

● რეიტინგები

# მიურეი მესამე, შარაპოვა მეორე

ATP-ის განახლებულ რეიტინგში, აშშ-ის ღიას ახალმა ჩემპიონმა **ენდი მიურეიმ** ესპანელ **რაფაელ ნადალს** გაასწრო და მესამე პოზიციაზე გადავიდა. ასევე გაიუმჯობესა პირველ ათეულში მდგომარეობა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა**, რომელმაც ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** ჩამოიტოვა უკან და მეექვე ნომერი გახდა.

ტოპ-ოცეულში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. უნდა აღინიშნოს, რომ კანადელი **მილოშ რაონიჩი** პირველად ავიდა მე-15 ადგილამდე, უკრაინელმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა** კი ოთხი პოზიცია დაკარგა და ახლა, მე-19 ნომერია.

■ ■ ■

ამერიკის ღია პირველობის შემდეგ, ქალთა რეიტინგში მთავარი სიახლე ის არის, რომ რუსი **მარია შარაპოვა** ისევ გახდა მსოფლიოს მეორე ჩოგანი. რეიტინგის ახალი ვერსიის თანახმად, შარაპოვამ პოლონელ ჩოგბურთელს **აგნიეშკა რადვანსკას** გაუსწრო.

მეშვიდე ადგილზე გადავიდა იტალიელი **სარა ერანი**, ხოლო შარშანდელმა ჩემპიონმა **სამანტა სტოსურმა** ორი საფეხურით დაიწია უკან და ახლა მეცხრე ადგილს იკავებს. პირველი ათეული დატოვა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**.

WTA-ის რეიტინგს კი კვლავინდებურად ლიდერობს ბელარუსი ჩოგბურთელი **ვიქტორია აზარენკა**. ამერიკის ღიას ფინალში წაგების მიუხედავად, ვიკა თითქმის 2 ათასი ქულით უსწრებს შარაპოვას.

**ATP**

| | |
|---|---|
| 1(1) . როჯერ ფედერერი (შვეიც) | 11 805 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 10 470 |
| 3(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 570 |
| 4(3). რაფაელ ნადალი (ესპ) | 7 515 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 5 915 |
| 6(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 830 |
| 7(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 520 |
| 8(8). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 3 890 |
| 9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 3 285 |
| 10(10). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 610 |
| 11(11). ხუან მონაკო (არგ) | 2 565 |
| 12(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 475 |
| 13(13). მარინ ჩირიჩი (ხორ) | 2 455 |
| 14(14). რიშარ გასკე (საფ) | 2 165 |
| 15(16). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 080 |
| 16(18). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 870 |
| 17(19). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 865 |
| 18(20). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 855 |
| 19(15). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 815 |
| 20(17). ჟილ სიმონი (საფ) | 1 800 |

**WTA**

| | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 10 265 |
| 2(3). მარია შარაპოვა (რუს) | 8 435 |
| 3(2). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 8 295 |
| 4(4). სერენა უილიამსი (აშშ) | 7 900 |
| 5(5). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 6 690 |
| 6(6). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 5 085 |
| 7(10). სარა ერანი (იტა) | 4 755 |
| 8(8). ნა ლი (ჩინ) | 4 526 |
| 9(7). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 200 |
| 10(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 800 |
| 11(9). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 440 |
| 12(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3 200 |
| 13(14). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 3 005 |
| 14(12). მარია კირილენკო (რუს) | 2 935 |
| 15(19). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 425 |
| 16(15). კაია კანეპი (ესტ) | 2 344 |
| 17(17). ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 2 210 |
| 18(22). ნადია პეტროვა (რუს) | 2 005 |
| 19(16). ვერა ზვონარევა (რუს) | 1 875 |
| 20(25). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 1 865 |

**ATP. ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6 972 425 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6 261 241 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 997 448 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 4 295 110 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 2 512 111 |
| 6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 929 017 |
| 7. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 790 818 |
| 8. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 1 469 173 |
| 9. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 465, 544 |
| 10. ჯონ ისნერი (აშშ) | 1 239 309 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 194 378 |
| 12. რიშარ გასკე (საფ) | 1 088 641 |
| 13. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 1 045 200 |
| 14. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 992 581 |
| 15. ხუან მონაკო (არგ) | 992 109 |
| 16. მარინ ჩირიჩი (ხორ) | 956 745 |
| 17. მილოშ რაონიჩი (კან) | 946 955 |
| 18. მარსელ გრანოლერსი (აშშ) | 857 724 |
| 19. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 855 860 |
| 20. ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 844 116 |

**WTA. ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 6 024 670 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 5 295 975 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 4 950 046 |
| 4. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 208 142 |
| 5. სარა ერანი (იტა) | 2 781 586 |
| 6. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 1 989 760 |
| 7. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 1 684 862 |
| 8. რობერტა ვინჩი (იტა) | 1 595 151 |
| 9. ნა ლი (ჩინ) | 1 448 356 |
| 10. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 1 289 499 |
| 11. მარია კირილენკო (რუს) | 1 015 682 |
| 12. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 006 820 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 944 420 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერ) | 908 677 |
| 15. ნადია პეტროვა (რუს) | 856 259 |
| 16. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 833 797 |
| 17. ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) | 823 633 |
| 18. იულია გორგესი (გერ) | 783 760 |
| 19. დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 743 467 |
| 20. ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) | 711 380 |

# მიურეიმ ნავსი გატეხა

**ზედიზედ მეხუთედ ამერიკის ღია პირველობა ორშაბათს დასრულდა და პირველად ამ დღეს ფინალში ენდი მიურეიმ ითამაშა. მან დრამატულ და დაძაბულ ფინალში პირველად გაიმარჯვა „დიდი სლემის" ტურნირზე - ხუთსეტიან მარათონში გამოსტაცა მოგება ნოვაკ ჯოკოვიჩს.**

აქამდე, ბრიტანელ ჩოგბურთელს „დიდი სლემის" ოთხი ფინალი ჰქონდა წაგებული - სამჯერ **როჯერ ფედერერთან** და ერთხელ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან**. ამ მატჩებში ის შებოჭილი და პასიური იყო და ჯამში მხოლოდ ერთი სეტი მოიგო. ყველაფერი ლონდონის ოლიმპიადის მოგების შემდეგ შეიცვალა. გუშინდელი მატჩის წინ, ნოვაკი ამბობდა, რომ ენდიმ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მოუმატა, თავად სერბს კი ეს პრობლემა შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული არ აწუხებს და ბოლო შვიდი „დიდი სლემიდან" ოთხი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ფინალის დაწყების წინ, ძლიერი ქარი ამოვარდა. ასეთ ამინდს ჯოკოვიჩი ვერ ეგუება და ამის გამო წააგო ნახევარფინალში სეტი **დავიდ ფერერთან**. ახლაც, სერბმა თამაში ზედიზედ ოთხი შეცდომით დაიწყო და თავისი მოწოდება დათმო, თუმცა იქვე გაათანაბრა ანგარიში. პირველ სეტში ჯოკოვიჩს მოწოდება არ მისდიოდა და ენდის მუდმივად ჰქონდა ბრეიკის შანსი. ბრიტანელმა კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ სერბმა შეცდომებს უკლო, ზედიზედ სამი გეიმი აიღო და ორი ბურთი აშორებდა პარტიის მოგებისგან. ენდიმ მაინც მიაღწია ტაი-ბრეიკამდე, რომელიც ფინალის მშვენება გახდა. მე-13 გეიმი 26 (!) წუთი გაგრძელდა და გათამაშებული ქულების რაოდენობით, ამერიკის ღიას ფინალების რეკორდი დამყარდა. ნოვაკმა ხუთი სეტბოლი მოიგერია, მაგრამ მეექვსეზე ბრიტანელმა კარგი მოწოდება შეასრულა. პარტია საათი და 27 წუთი (!) გრძელდებოდა.

რა თქმა უნდა, ნოვაკი ძალიან განაწყენდა თითქმის მოგებული სეტის წაგების გამო. მეორე სეტის სტარტზე მან ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო, ამასთან, ენდის მხოლოდ თამაშში ბურთის შენარჩუნება სჭირდებოდა, რადგან ქულებს მას თავად ჯოკოვიჩი ჩუქნიდა. მაგრამ, თანდათან, შარშანდელი ჩემპიონი გონს მოვიდა და ისევ მოიგო ზედიზედ სამი გეიმი. მან ჯერ ერთი დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა, შემდეგ მეორე. ნოვაკმა უფრო აქტიური მოძრაობა დაიწყო, კორტში შედიოდა და ამით პირველი დარტყმის უპირატესობაც მიიღო, თან მიღებაზეც გააუმჯობესა თამაში. 5:5-ზე მიურეიმ დიდი გაჭირვებით აიღო საკუთარი გეიმი, რადგან სათამაშო და ფსიქოლოგიური უპირატესობა მთლიანად სერბის მხარეს იყო. და სწორედ ამ დროს მოხდა დაუჯერებელი რამ: ჯოკოვიჩი, რომელმაც ბოლო შვიდი გეიმიდან ხუთი მოიგო, იოლი სმეშის შესრულებისას შეცდა, მეტოქის სეტბოლზე კი აუტში გაუშვა ბურთი - 7:5.

მიურეიმ სეტებში 2:0 წაიყვანა ანგარიში, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა, მაგრამ ისიც ცხადი იყო, ნოვაკმა იპოვა თავისი თამაში. სერბი პირველად დაწინაურდა ბრეიკით და მიუხედავად იმისა, რომ ენდის გადარჩენის არაერთი შანსი ჰქონდა, ნოვაკმა ზუსტად ითამაშა, კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და დამაჯერებლად მოიგო მესამე სეტი.

ნიუიორკულ პუბლიკას ლამაზი და დრამატული ფინალი სურდა და ნოვაკის გულშემატკივრობა დაიწყო. მეოთხე სეტში მიურეიმ თავიდანვე წააგო თავისი მოწოდება და უბრალოდ არ იცოდა, როგორ ეთამაშა ასეთ ნოვაკთან. ჯოკოვიჩის თამაში თითქმის იდეალური იყო, თან მიურეის მეოთხე სეტში არ მისდიოდა პირველი მოწოდება (მხოლოდ 45-პროცენტიანი სიზუსტე), უკანა ხაზზე თამაშში ძლიერი აღარ იყო და ბევრს ცდებოდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ბრიტანელმა უკეთ დაიწყო მეხუთე სეტი. ის მიხვდა, რომ ნოვაკზე ზეწოლა იყო საჭირო და ცდილობდა, დრო არ მიეცა მისთვის ბურთთან უკეთ მისასვლელად.

მეხუთე სეტში ყოველი ბურთისთვის ბრძოლა მიდიოდა. მიურეიმ სტარტზე ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და ორი ბრეიკით დაწინაურდა - 3:0. თითოეულში ანგარიში მინიმუმ 30:30 იყო. ჯოკოვიჩმა იქვე დაიბრუნა ერთი ბრეიკი და ყველას ეგონა, რომ მორიგი დაძაბული სეტის მოწმე გახდებოდა. მაგრამ მიურეის მეტი ძალა დარჩა ტურნირის მთავარი პარტიისთვის. თან ჯოკოვიჩს ბარძაყის ტრავმა აწუხებდა და მოწოდებაში ხელს უშლიდა. ჩოგბურთელებმა საოცარი ამტანობა გამოამჟღავნეს და თითო გათამაშება ხანდახან 20-30 დარტყმა გრძელდებოდა. მათ 2012 წლის ტურნირის რეკორდი დაამყარეს - ერთ-ერთი გათამაშება 54 დარტყმისგან შედგებოდა! **ჯონ მაკინროიმ** მოთამაშეებს „მებრძოლები" უწოდა. მართლაც, ენდი და ნოვაკი არა მხოლოდ ოსტატობასა და ფსიქოლოგიურ მომზადებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, არამედ ნამდვილი ომი გააჩაღეს მოედანზე. სხვათა შორის, მაკინროი ერთადერთი მოთამაშეა აშშ-ის ღიას ისტორიაში, ვინც ფინალში მოიგო პირველი ორი სეტი, წააგო შემდეგი ორი, მაგრამ, ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა. მიურეიმ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მეორე ასეთი მოთამაშე გამხდარიყო. ბრიტანელმა 4:2-ზე მესამედ აიღო სეტში მეტოქის მოწოდება, თავის გეიმში კი სამმაგი მატჩბოლი მოიპოვა. პირველი ჯოკოვიჩმა მოიგერია, მაგრამ მეორე ცდაზე მიღებისთანავე აუტში გაუშვა ბურთი - 7:6(10), 7:5, 2:6, 3:6, 6:2. ენდი მიურეიმ კარიერაში პირველად მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი!

ბრიტანელის ემოციები ყველაზე კარგად მის მწვრთნელს **ივან ლენდლს** ესმოდა - მანაც მეხუთე ცდაზე მოიგო „დიდი სლემის" პირველი ტურნირი. გუშინდელი ფინალი 4 საათი და 54 წუთი გაგრძელდა და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა 1988 წლის სარეკორდო ფინალს, როცა ლენდლმა **მატს ვილანდერთან** წააგო.

პირველად 2003 წლის შემდეგ, 2012 წელს „დიდი სლემის" ტურნირები ოთხმა სხვადასხვა ჩოგბურთელმა მოიგო. შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი უძლიერესი იყო ავსტრალიაში, **ნადალი** - როლან გაროსზე, ფედერერი - უიმბლდონზე. გუშინდელ დღემდე, ამ სამეულმა 30 „დიდი სლემიდან" 29 გაინაწილა და გამონაკლისი მხოლოდ **ხუან მარტინ დელ პოტროსთვის** დაუშვა, რომელმაც 2009 წელს ამერიკის ღია მოიგო.

გარდა ამისა, დაემხო მთავარი რეკორდი, რომელიც 76 წელი არსებობდა - 1936 წელს, **ფრედ პერის** მიერ აშშ-ის ღიას მოგების შემდეგ, „დიდ სლემზე" არც ერთ ბრიტანელ მამაკაცს არ გაემარჯვა.

მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა მიულოცა ენდის და განაცხადა, რომ მან დაიმსახურა ეს გამარჯვება. სერბს ჰარდის საფარზე 27-მატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა, რომელიც ამერიკის ღიას 2010 წლის ფინალიდან მოყოლებული გრძელდებოდა. მაგრამ ამჯერად, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ომი ენდიმ მოიგო...

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 7:6(10), 7:5, 2:6, 3:6, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ენდი მიურეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# სიტუაცია გართულდა

## დაპირისპირებული მხარეები მხოლოდ პრესაში კრიტიკისთვის იცლიან



გუშინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის წარმომადგენლებმა და მოთამაშეთა პროფკავშირმა ვერ მოახერხეს მოლაპარაკებების გაგრძელება, მაგრამ პრესაში ერთმანეთის კრიტიკისთვის მოიცალეს.

*"მთელი უქმეები ვისხედით და ველოდით პროფკავშირის წარმომადგენლებს, რათა გაგრძელებულიყო კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა.*

*აშკარაა, რომ მათ საკუთარი დღის წესრიგი აქვთ, რომელიც ჩვენთვის უცნობია. სამწუხაროა"*, - განაცხადა ლიგის კომისრის **გერი ბეტმენის** თანაშემწემ **ბილ დეილიმ**.

თავის მხრივ, პროფკავშირების შეფმა **დონ ფერმა** მიანიშნა იმის შესახებ, რომ მოთამაშეები ბოლო რამდენიმე წელი სპეციალურად ზოგავდნენ ფულს იმისთვის, რომ სავარაუდო ლოკაუტის პერიოდში თავი გაეტანათ. ამიტომაც მათ აქვთ რესურსი ჰოკეის გარეშე გაძლონ.

*"წინა ლოკაუტის დროს, კლუბების მფლობელებმა თავიანთი ყველა მოთხოვნა გაიტანეს და ახლა, ისევ სურთ გამოიყენონ მოთამაშეები თავიანთი მიზნებისთვის.*

*ასეთი რამ ადრე უკვე მოხდა NBA-სა და NFL-ის შემთხვევაში, მაგრამ იმედია, ეს ჩვენთან არ განმეორდება"*, - განაცხადა ფერმა.

დოპინგი



ნადეჟდა ოსტაპჩუკი

# დამნაშავე იპოვეს

ბელარუსის ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ბირთვის მკვრელი **ნადეჟდა ოსტაპჩუკის** კერძში დოპინგი მისმა მწვრთნელმა ჩაამატა. ამის შესახებ, თავად სპორტსმენმა არაფერი იცოდა.

ლონდონის თამაშებზე ოსტაპჩუკმა ოქროს მედალი მოიგო ბირთვის კვრაში. მაგრამ, 13 აგვისტოს გახდა ცნობილი, რომ ბელარუსს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი – მეთენოლონი აღმოუჩინეს და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მისი დისკვალიფიკაცია გადაწყვიტა.

როგორც გამოძიებამ გაარკვია, ოსტაპჩუკის მწვრთნელმა **ალექსანდრ ეფიმოვმა** სპორტსმენის საკვებს დოპინგი დაუმატა ისე, რომ თავად ნადეჟდამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მწვრთნელს გარკვეული ეჭვები ჰქონდა თავისი შეგირდის მოსალოდნელი შედეგების გამო, ამიტომაც გადაწყვიტა დოპინგის გამოყენება. გაირკვა, რომ ეფიმოვმა თავად აღიარა საკვებში აკრძალული პრეპარატის დამატების ფაქტი.

ბელარუსის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე გამოუტანა განაჩენი ოსტაპჩუკსა და მის მწვრთნელს: სპორტსმენი ერთი წელი ვერ მიიღებს მონაწილეობას ტურნირებში, ეფიმოვმა კი ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ფორმულა 1

# სტატისტიკა მონცას შემდეგ

**მონცასეტაპის შემდეგ, ცნობილმა საენციკლოპედიო ბაზა - Forix-მა მორიგი საინტერესო სტატისტიკური მონაცემები მოგვაწოდა...**

### ჰემილტონის გამარჯვება

- მონცაზე დაკავებული პირველი ადგილის შემდეგ, ბრიტანელს ყველა „კლასიკურ ტრასაზე" აქვს მოპოვებული გამარჯვება - ჰოკენჰაიმზე, ნიურნბურგრინგზე, მონაკოში, მონრეალში, მონცაზე, სილვერსტოუნსა და სპაზე. მოქმედ პილოტებს შორის ასეთი შედეგით მხოლოდ **მიხაელ შუმახერი** დაიკვეხნის.

-კარიერაში მე-20 გამარჯვებით **ჰემილტონი** ყველა დროის რეიტინგში გაუთანაბრდა მე-13 ადგილზე მყოფ **მიკა ჰაკინენს**. მონცაზე ლუისი 48-ედ ავიდა პოდიუმზე.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 91 |
| 2. ალენ პროსტი | 51 |
| 3. აირტონ სენა | 41 |
| 4. ნაიჯელ მენსელი | 31 |
| 5. ფერნანდო ალონსო | 30 |
| 6. ჯეკი სტიუარტი | 27 |
| 7. ჯიმ კლარკი | 25 |
| 7. ნიკი ლაუდა | 25 |
| 9. ხუან-მანუელ ფანხიო | 24 |
| 10. ნელსონი პიკე | 23 |
| 11. დეიმონ ჰილი | 22 |
| 11. სებასტიან ფეტელი | 22 |
| 13. მიკა ჰაკინენი | 20 |
| 13. ლუის ჰემილტონი | 20 |

- „მაკლარენისთვის" ეს იყო 180-ე მოგება ისტორიაში, მეათე მონცაზე და ზედიზედ მესამე ამ სეზონში - ასეთი სერია ბრიტანულ საჯინიბოს 2008 წლის შემდეგ არ ჰქონია.

### კვალიფიკაცია

- მონცაზე პოული 23-ე იყო ჰემილტონის კარიერაში და ზედიზედ მესამე „მაკლარენისთვის" ამ სეზონში.

- მესამედ ამ სეზონში, „მაკლარენის" პილოტებმა სასტარტო ბილიკის პირველი რიგი დაიკავეს. ეს გუნდის ისტორიაში 61-ე კვალიფიკაციაა, როცა ამ გუნდის წევრებმა პირველი ორი ადგილი მოიპოვეს. ამ მაჩვენებლით რეკორდსმენები „მაკლარენი" და „უილიამსი" არიან.

- **ფელიპე მასამ** პირველად ბოლო 24 გრანპრის განმავლობაში პირველი სამეულიდან აიღო სტარტი და პირველად ბოლო 15 ეტაპის განმავლობაში, კვალიფიკაციაში აჯობა თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს**.

### რბოლა

- ფერნანდო ალონსო კარიერაში მეოთხმოცედ ავიდა პოდიუმზე და გაუთანაბრდა **აირტონ სენას**, რომელიც ამ მაჩვენებლით მესამეა რეიტინგში.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 155 |
| 2. ალენ პროსტი | 106 |
| 3. ფერნანდო ალონსო | 80 |
| 3. აირტონ სენა | 80 |
| 5. რუბენს ბარიკელო | 68 |
| 5. კიმი რაიკონენი | 68 |
| 7. დევიდ კულტჰარდი | 62 |
| 8. ნელსონ პიკე | 60 |
| 9. ნაიჯელ მენსელი | 59 |
| 10. ნიკი ლაუდა | 54 |

- მეოთხე ადგილზე გასულმა ფელიპე მასამ გაიმეორა სეზონში თავისი საუკეთესო შედეგი. ზედიზედ 34 რბოლაა ბრაზილიელი პოდიუმზე არ ასულა.

- პირველად კორეის 2010 წლის გრანპრის შემდეგ, „რედ ბულმა" ვერც ერთი ქულა ვერ აიღო რბოლაში.

- **მარკ უებერმა** ამ სეზონში პირველად ვერ დაასრულა რბოლა. გასულ წელს, ავსტრალიელმა ასევე ვერ შეძლო მონცაზე რბოლის დამთავრება, 2009 წელს კი **რობერტ კუბიცას** შეეჯახა და ფინიშამდე ვერ მივიდა.

- **ნიკო ჰიულკენბერგი** მუხრუჭების პრობლემების გამო გამოეთიშა რბოლას. „ფორს ინდია" ამ სეზონში პირველად ვერ მივიდა ფინიშთან მექანიკური პრობლემების გამო. ერთადერთი გუნდი, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში ტექნიკური სირთულე არ შეჰქმნია, „ფერარია".

- **ჯენსონ ბატონმა** ამ სეზონში მესამე რბოლა ვერ დაასრულა მანქანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.



# პერესი ფერარიში ვარჯიშობს

"ზაუბერის" პილოტი **სერხიო პერესი**, რომელმაც მონცაზე გასულ რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა, იტალიაში დარჩა. მექსიკელი მარანელოში, "ფერარის" ბაზაზე ვარჯიშობს. მეცადინეობა სკუდერიას" აკადემიის რანგში მიმდინარეობს. სწორედ ამ აკადემიის აღზრდილია მექსიკელი პილოტი.

ამავდროულად, ევროპული პრესა ვარაუდობს, რომ პერესმა, შესაძლოა, მოლაპარაკებები გამართოს იტალიური საჯინიბოს ხელმძღვანელობასთან "ფერარიში" სავარაუდო გადასვლის თაობაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მუნდიალი 2014**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| სერბეთი-უელსი | 6:1 |
| ბელგია-ხორვატია | 1:1 |
| შოტლანდია-მაკედონია | 1:1 |
| ბულგარეთი-სომხეთი | 1:0 |
| იტალია-მალტა | 2:0 |
| შვედეთი-ყაზახეთი | 2:0 |
| ავსტრია-გერმანია | 1:2 |
| რუმინეთი-ანდორა | 4:0 |
| თურქეთი-ესტონეთი | 3:0 |
| უნგრეთი-ჰოლანდია | 1:4 |
| კვიპროსი-ისლანდია | 1:0 |
| ნორვეგია-სლოვენია | 2:1 |
| შვეიცარია-ალბანეთი | 2:0 |
| ისრაელი-რუსეთი | 0:4 |
| ჩრ. ირლანდია-ლუქსემბურგი | 1:1 |
| პორტუგალია-აზერბაიჯანი | 3:0 |
| ბოსნია-ლატვია | 4:1 |
| სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| საბერძნეთი-ლიტვა | 2:0 |
| სან მარინო-ჩერნოგორია | 0:6 |
| პოლონეთი-მოლდოვა | 2:0 |
| ინგლისი-უკრაინა | 1:1 |

**ს. ამერიკა**

| | |
|---|---|
| ჩილე-კოლუმბია | 1:3 |

**აზია**

| | |
|---|---|
| უზბეკეთი-ს. კორეა | 2:2 |
| ლიბანი-ირანი | 1:0 |
| იაპონია-ერაყი | 1:0 |

**ოკეანეთი**

| | |
|---|---|
| ახ. ზელანდია-სოლომონის კ-ები | 6:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ფინეთი | 0:1 |
| ირლანდია-ომანი | 4:1 |
| ს. აფრიკა-მოზამბიკი | 2:0 |

**ესპანეთის თასი**

**II რაუნდი**

| | |
|---|---|
| საბადელი-ერკულესი | 2:0 |
| ალკორკონი-ნუმანსია | 4:1 |
| ალმერია-მურსია | 2:0 |
| მირანდესი-რეკრეატივო | 2:0 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ს–დ)**

| | |
|---|---|
| მაინცი II-ფრანქფურტი II | 2:0 |

**დანიის თასი**

**II რაუნდი**

| | |
|---|---|
| აარუპი-ვეილე | 1:3 |
| ლისტრუპი-ბლოხუსი | 1:9 |
| მორუდი-ოტერუპი | 1:3 |
| სკიოლდი-სვებოლე | 0:2 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჟოლნოკი-მტკ | 0:0 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2013**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-ისლანდია | 80:58 |
| სერბეთი-ისრაელი | 83:67 |
| ჩერნოგორია-სლოვაკეთი | 80:48 |
| გერმანია-აზერბაიჯანი | 81:68 |
| ლუქსემბურგი-შვედეთი | 68:85 |
| ხორვატია-ავსტრია | 78:74 |
| კვიპროსი-უნგრეთი | 58:63 |
| ფინეთი-შვეიცარია | 84:77 |
| ალბანეთი-ბელგია | 46:82 |
| თურქეთი-ჩეხეთი | 81:58 |
| ბელარუსი-პორტუგალია | 77:64 |

**ჰოკეი**

**კხლ**

| | |
|---|---|
| ამური-ტორპედო | 3:2 (ბ) |
| მეტალურგი (ნ)-ლოკომოტივი | 4:5 (ბ) |
| სიბირი-ატლანტი | 2:3 (ბ) |
| ავანგარდი-ბარისი | 4:3 (ო) |
| ს. იულიაევი-დინამო (მნ) | 6:3 |
| ავტომობილისტი-ტრაქტორი | 0:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ–ის ღია**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-**მიურეი** | 6:7, 5:7, 6:2, 6:3, 2:6 |

**WTA. ტაშკენტი**

| | |
|---|---|
| აბდურაიმოვა-**დიატჩენკო** | 2:6, 4:6 |
| პფიცენმაიერი-**იოვანოვსკი** | 2:6, 6:2, 4:6 |
| **ბირნეროვა**-ფოირშტაინი | 7:6, 6:4 |
| კოენი-**დოი** | 3:6, 0:6 |
| **ბეგუ**-ამანმურადოვა | 6:4, 6:3 |
| ბიჩკოვა-**კადანტუ** | 6:3, 4:6, 5:7 |
| **ვოსკობოევა**-დოლონცი | 3:6, 6:1, 6:0 |
| ცურენკო-**ჩაკვეტაძე** | 4:6, 3:6 |
| ნიკულესკუ-**კნაპი** | 6:2, 3:6, 5:7 |
| რიბარიკოვა-**ვეკიჩი** | 6:7, 3:6 |
| პუიგი-**დანილიდუ** | 4:6, 2:6 |

**WTA. კვებეკი**

| | |
|---|---|
| ფალკონი-**ოუდინი** | 5:7, 6:7 |
| ლარშერ ბრიტუ-**რამპრე** | 2:6, 6:1, 3:6 |
| პალეტიე-**ბ. ზახვალოვა** | 6:7, 1:6 |
| პეგულა-**მარტიჩი** | 4:6, 5:7 |
| დუბუა-**დევისი** | 5:7, 3:6 |
| **ტატიშვილი**-კარატანჩევა | 7:5, 1:6, 6:1 |
| ელ თაბახი-**ლუჩიჩი** | 4:6, 6:3, 6:7 |
| **მლადენოვიჩი**-ბრენგლი | 6:4, 6:7, 6:4 |

TV პროგრამა

**12 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-აიაქსი.
**12:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-სერბეთი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულემი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
**18:00** ამხანაგური მატჩი. ესპანეთი-საუდის არაბეთი.
**20:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. კლუჟი-ბაზელი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ლეიკერსი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ანდერლეხტი-აელ.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. 1/2 ფინალი. ლენსტერი-ალსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. მარიბორი-დინამო (ზ).
**22:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ლეიკერსი.
**00:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია - იტალია
**16:00** კალათბურთი. ევროლიგა. მილანი-რეალი.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ნიუელსი.
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. გალათასარაი-მონტეპასკი.
**22:30** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 30 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 17 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 28 | (მზე) |
| გორი | 15 | 24 | (მზე) |
| თელავი | 14 | 20 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 13 | 19 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 17 | 27 | (მზე) |
| ბაკურიანი | 9 | 20 | (მზე) |
| ბორჯომი | 13 | 25 | (მზე) |
| მესტია | 11 | 24 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1045 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6448 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6360 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1761 |

რაგბი. ოთხი ერი

# შარფი წლეულს მეოთხე კაპიტანია

**ავსტრალიის ნაკრები შაბათს, ოქროს სანაპიროზე ოთხი ერის გათამაშების მეოთხე ტურის მატჩში არგენტინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ვოლაბებს" ტურნირის ახალბედებთან მატჩი წინ პრობლემები მიეძალათ.**

გასულ უქმეებზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მოგებულ შეხვედრაში მძიმედ დაშავდა ავსტრალიელთა ცხრა ნომერი და გუნდის კაპიტანი **ვილი გენია.** მან მუხლის ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა, რის გამოც რაგბის ექვსი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს.



ნათან შარფი

აღსანიშნავია, რომ გენია „ვოლაბების" მესამე კაპიტანია, რომელმაც წლეულს სერიოზული ტრავმა მიიღო. გუნდის ნამდვილი კაპიტნის **ჯეიმზ ჰორვილმა** მუხლისქვეშა მყესი გაიწყვიტა, მისმა შემცვლელმა **დევიდ პოკოქმა** ასევე მუხლი დაიზიანა და აგერ ახლა გენიაც დაშავდა.

არგენტინასთან მატჩში „ვოლაბებს" ვეტერანი მეორეხაზელი **ნათან შარფი** წარუძღვება.

*„ცხადია, ძალიან მიხარია, რომ ოქროს სანაპიროზე არგენტინის ნაკრებთან მატჩში კაპიტანი ვიქნები. თუმცა ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი. სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ, ჩვენს გუნდს რეალურად შესწევს ძალა ბევრად უკეთ ითამაშოს.*

*ჩვენი გუნდიდან არგენტინის ნაკრებთან ჩემ გარდა არავის უთამაშია. თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ისინი თავდადებული, უკომპრომისო, ჟინიანი თამაშით გამოირჩევიან. ნახეთ, „პუმებმა" რამდენს მიაღწიეს. სამრეთ აფრიკასთან ფრეს გამორჩნენ და „ოლ ბლექსს" უამრავი პრობლემა შეუქმნეს.*

*ერთი სიტყვით, მძიმე თამაში გველის და მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ, რომ თამაში მოვიგოთ და სატურნირო მდგომარეობა გავიუმჯობესოთ."* - თქვა მან.

ავსტრალიელთა მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** გუნდში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ტრავმირებული გენიას ნაცვლად ცხრა ნომრის პოზიციაზე **ნიკ ფიპსი** ითამაშებს. მეორე ხაზში **სიტალეკი ტიმანის** ადგილს **კენ დუგლასი** დაიკავებს. **ბერიკ ბარნსმა** ფულბეკის პოზიცია დაიკავა, შუამარბად კი **პეტ მაკკები** ითამაშებს.

**ავსტრალია: 15. ბერიკ ბარნსი, 14. დომ შიპერლი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. პეტ მაკკები, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ნიკ ფიპსი. 1. ბენ რობინსონი, 2. ტატაფუ პოლოტა-ნაუ, 3. ბენ ალექსანდერი, 4. კენ დუგლასი, 5. ნათან შარფი, 6. დეივ დინსი, 7. მიქაელ ჰუპერი, 8. რადიკე სამო.**

**16. საია ფაინგაა, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. სკოტ ჰიგინბოთამი, 19. ლიამ გილი, 20. ბრეთ შიჰანი, 21. ენტონი ფაინგაა, 22. ქართლი ბეილი.**

რაგბი. მსოფლიოს თასი



# მსოფლიოს თასი ოლიმპიურ სტადიონზე

**2015 წლის მსოფლიოს თასის ორგანიზატრები დაინტრესებული არიან პლანეტის უდიდესი სარაგბო ფორუმისთვის ლონდონის ოლიმპიური სტადიონი გამოიყენონ.**

ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების დასრულების შემდეგ 2012 წლის უმთავრესი სპორტული მოვლენის მთავარ არენაზე, რომელიც 80 ათას მაყურებელს იტევს, პრეტენზიას საფეხბურთო კლუბი „ვესტ ჰემ იუნაიტედიც" აცხადებს. საბოლოოდ გადაწყვეტილება მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტს ჯერ არ მიუღია, რადგან ჯერ მასპინძელი ქალაქებიდან სტუმართა მიღებისა და განსახლების გეგმას ელოდებიან. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება სერიოზული მოლაპარაკება სტადიონის მფლობელებთან.

*„ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა 2015 წლის მსოფლიოს თასის მატჩების სამასპინძლოდ ლონდონის ოლიმპიური სტადიონი გამოვიყენოთ. ეს შესანიშნავი არენაა, რომელიც ნებისმიერი რანგის ტურნირს დაამშვენებს.*

*ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ სპორტული მოედნებისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის პრობლემა თითქმის ყველგან დგება. ვფიქრობთ, თუ ამ სტადიონზე რაგბის თამაშის ნებას დაგვრთავენ, მისი შენახვა უფრო იოლი გახდება.*

*მსოფლიოს თასის გათამაშების წილისყრა დეკემბერში გაიმართება და იმ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი უნდა იყოს, თამაშები რომელ სტადიონებზე გაიმართება. ამიტომ, ვფიქრობ, მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა ოლიმპიური სტადიონის მფლობელებთან ერთად მალე მოგვიწევს"* - თქვა მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა მენეჯერმა **როს იანგმა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608